სპორტი

სპორტული გაზეთი შაბათი 8 მარტი 2008 №052 (3276) ფასი 50 თეთრი

ხანდახან მაინც დაარტყით კარში!

დილამ ვიტ ჯორჯიას მეკარე დაუზოგა

თამაში ნუ ჩაიშლება, თორემ რა შენდოდა ბორჯომს დინამოსთან?!

დინამო 4:2 ბორჯომი. ბორჯომელებმა მათე ვაწაძეს (№11) მესამე გოლის გატანა არ დაანებეს



ვიტ ჯორჯია 2:0 დილა. საჭირო დროს, საჭირო ადგილას: ჯაბა ლიპარტიას გოლი

ნოდარ ახალკაცი: იყო კორუფცია!

კოსოვოს პრეზიდენტი ჩვენი პრეზიდენტი არ არის

ნოდარ ახალკაცი

გია ბაღაშვილი

ლევან ცაბაძე

იცოდეთ, სად მიგყავთ შვილები

ევროპამ ოვონო თქვა: 2,5 მილიონი ევრო!

გაფრი კეთილაძის ფოტო

თბილისის „დინამოს“ მეკარე დიდიე ოვონოს და „ესპანიოლის“ ამბავი გეცოდინებათ — ორიოდ დღის წინ ესპანურმა პრესამ დაწერა, ოვონო „ესპანიოლში“ გადასვლის მთავარი კანდიდატიაო.

„სარბიელთან“ ინტერვიუში გაბონელმა დინამოელმა ეს ამბავი უარყო — არავინ დამკავშირებიაო.

მაშინ ესპანელებმა ისიც დაწერეს, სეზონის ბოლოს ოვონო „დინამოსგან“ თავისუფალიაო, რაც მართალი არ არის და აი, ახალი ინფორმაციაც: გუშინ ევროპულმა სააგენტოებმა ოვონოს სატრანსფერო ფასი დაასახელეს: 2,5 მილიონი ევრო.

ვნახოთ, რა გაგრძელება ექნება ამ ამბავს...

კახა შალამბერიძე

მიმდინარე წლის მაისში სრულდება საქართველოს ძირძველ მიწაზე, აფხაზეთში, ფეხბურთის ოფიციალურად დაარსებიდან 100 წელი. ამასთან დაკავშირებით მზადდება საიუბილეო ღონისძიებები.

მივმართავთ საზოგადოებას, სპორტულ ჟურნალისტებს, ფოტოჟურნალისტებს, ვეტერან ფეხბურთელებს და მათი ოჯახის წევრებს, მოგვაწოდონ მათ ხელთ არსებული აფხაზეთის ფეხბურთთან დაკავშირებული მასალები საიუბილეო წიგნ-ალბომის და სატელევიზიო ფილმის მომზადებისა და გამოშვების მიზნით.

მისამართია: ქ. თბილისი, შ. იამანიძის ქ. № 5.

ტელეფონები: 35 60 12, 94 29 39.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის საიუბილეო შტაბი.

აფფ-ის პრეზიდენტი: მ. ანჯაფარიძე

ინგლისი

I ლიგა. XXXVI ტური

სუონსი 1:2 მილუოლი

II ლიგა. XXXVI ტური

ჩესტერფილდი 4:1 ლინკოლნი

გრიმსბი 0:1 დონსი

გერმანია

ბუნდესლიგა. XXIII ტური

დორტმუნდი 1:1 ჰერტა

II ბუნდესლიგა. XXIII ტური

ლაუტერნი 0:0 ფრაიბურგი

აუგსბურგი 0:2 გლადბახი

ალემანია 2:5 ფიურტი

სამხრეთ რეგიონალლიგა XXIV ტური

ბაიერნი (მ) 2:4 უნტერჰახინგი

ზიგენი 1:1 კიკერსი

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა XXVIII ტური

რაპიდი 2:1 შტურმი

საფრანგეთი

II დივიზიონი. XXVIII ტური

ლე ავრი 2:0 აიაჩო

ამიენი 2:0 ანჟერი

რეიმსი 4:1 ბულონი

ბრესტი 0:0 დიჟონი

ლიბურნი 2:0 გენიონი

შატორუ 0:0 გენგამი

სედანი 3:1 მონპელიე

ბასტია 2:2 ნიორი

კლერმონი 1:2 ტრუა

ბელგია

იუპილერლიგა. XXV ტური

სტანდარდი 2:1 სტ. ტრუიდენი

ირლანდია

I დივიზიონი. I ტური

კორკი 0:0 ბრეი

გალვეი 0:1 ბოჰემიანსი

სტ. პატრიკსი 3:1 სლიგო

დუბლინი 2:3 დერი

ჰარპსი 2:1 რამგლერსი

ჰოლანდია

ერედივიზიონი XXVIII ტური

ჰერაკლესი 2:1 უტრეხტი

II დივიზიონი. XXXI ტური

ემენი 1:2 როზენდალი

ჰაარლემი 0:1 კამგური

ვოლენდამი 3:0 ალმერე

დორდრეხტი 1:1 ზვოლე

ჰელმონდი 1:2 ვეენდამი

ვალვაიკი 3:0 ოსი

იგლზი 1:1 ეინდჰოვენი

დენ ბოსხი 1:1 მაასტრიხტი

სიტარდი 0:3 ტელსტარი

დენ ჰააგი 3:0 აპელდორნი

პორტუგალია

სუპერლიგა. XXII ტური

სეტუბალი 1:0 მარიტიმუ

თურქეთი

სუპერლიგა. XXV ტური

გენჩლერბირლიგი 1:2 ბეშიქთაში

პოლონეთი

I ლიგა. XX ტური

ვიქევი 1:1 ლეხი

სოსნოვეცი 2:1 ლეგია

შპრაინა

ვიშა ლიგა. XX ტური

მეტალურგი (დ) 1:0 კარპატი

ხორვატია

I დივიზიონი. XXII ტური

ინტერი 0:0 ვარტეკსი

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XVIII ტური

ფეჰერვარი 0:0 ჰონვედი

რუმინეთი

I ლიგა. XXII ტური

დაჩია 0:0 ბისტრიცა

კლუჟი 2:0 გლორია

ფინეთი

ლიგის თასი. B ჯგუფი

ჰაკა 3:1 იარო

კობახიძემ პრეზენტაცია ნაადრევად დატოვა

გუშინ დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ“ ოფიციალურად წარადგინა ახალწვეულები.

შვიდი ქვეყნის შვიდ ფეხბურთელში სანდრო კობახიძეც მოხვდა, რომელიც ზამთრის პაუზისას დნეპროპეტროვსკელებმა თბილისის „დინამოდან“ გადაიბირეს და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

„ქართველი ახალწვეულს ეროვნულ ნაკრებში თამაშის გამოცდილებაც აქვს. კობახიძე ჩვენთვის უახლოესი პერსპექტივის საჭირო ფეხბურთელია“ — ასე წარუდგინა ჟურნალისტებს ქართველი ფეხბურთელი „დნიპროს“ გენერალურმა დირექტორმა ანდრეი სტეცენკომ.

ჩვენებურს დნეპროპეტროვსკელებმა 17-ნომრიანი მაისურა გადასცეს.

სანდრო კობახიძემ ნაადრევად დატოვა პრეზენტაცია, რათა სარეზერვო გუნდთან ერთად ახტირსკის „ნეფტიანიკთან“ დღევანდელი მატჩისთვის გამგზავრებულიყო.

შეგახსენებთ, უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრე გასულ უქმეებზე განახლდა და „დნიპრომ“ 0:4 წააგო კიევის „დინამოსთან“. კობახიძე განაცხადშიც არ იყო, ხოლო ჯაბა კანკავა ბოლო ნახევარი საათით შეუშვეს მოედანზე.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ცხადაძემ გუნდს ზიდანი უხსენა

რატომ ეჩხუბა ქართველი მწვრთნელი თავის მცველს?

ვურამ დოლიძეიანის ფოტო

კახა ცხადაძეს აზერბაიჯანულ „სტანდარდში“ მწვრთნელად მისვლის შემდეგ ჩემპიონატისა და თასის ოთხ მატჩში მოგების გემო ჯერაც არ გაუსინჯავს.

გუშინ თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში ცხადაძის შეგირდები სტუმრად „ნეფთჩისთან“ 1:4 შერცხვნენ, რაშიც ლომის წვლილი გიორგი ადამიამ დაიდო.

ბაქოელთა ქართველმა ნახევარმცველმა „სტანდარდს“ სამი ბურთი გაუტანა — ჯერ თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შეაგდო, შემდეგ ერთი მოძრაობით ორი მცველი სახტად დატოვა და მეკარესთან პირისპირ გასულს გატანა არ გასჭირვებია, მესამედ კი „სტანდარდის“ მეკარეს უკვე თანაგუნდელმა შეატოვა და ადამიამაც თავზე მოხდენილად გადაუგდო ბურთი.

ნამატჩევს, ცხადია, ცხადაძე უკმაყოფილო იყო: „ფეხბურთელებმა უნდა გაიგონ, ზიდანი 60 მილიონი იმიტომ ღირდა, რომ 10 მომენტიდან 12-ს იყენებდა. ჩვენ კი არც ერთის გამოყენება არ შეგვიძლია. მე ნამდვილად ვერ გავალ მოედანზე მათ ნაცვლად“.

როგორც აზერბაიჯანელები წერენ, მატჩის 37-ე წუთზე გაცხარებულმა ცხადაძემ „სტანდარდის“ ძველ კიმალ გულიევის მიმართ პრეტენზიები გამოთქვა, რაზეც მოედნიდან საკმაოდ უხეში პასუხი მიიღო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

დვალი და პოლიტეხნიკა: შევხვდებით? გაგიტანთ!

ალექსანდრ ფოფოლაშვილის ფოტო

მოლდოვის ჩემპიონატის მე-20 ტურში ჯაბა დვალისა და ლევან კორლალიძის „დაჩია“ შინ „პოლიტეხნიკას“ შეხვდა და 3:1 დაამარცხა.

ამ მატჩში ორივე ქართველმა ითამაშა და დვალი გოლითაც გამოირჩა.

აღსანიშნავია, რომ სეზონისწინა მზადების ბოლო საკონტროლო მატჩი „დაჩიამ“ სწორედ „პოლიტეხნიკასთან“ (2:0) გამართა და დვალმა მაშინაც გაიტანა.

ამ მოგებით „დაჩიამ“ მეორე ადგილი შეინარჩუნა.

ლიდერმა „შერიფმა“ კი ვაჟა თარხნიშვილის კაპიტნობით სტუმრად „ტილიგული“ 1:0 დაამარცხა. ამ მატჩში პავლე და ვალტერ ხორგუაშვილებს არ უთამაშიათ.

მეხუთე ადგილზეა მამუკა ლომიძის „ზიმბრუ“, რომელმაც სტუმრად 0:0 ითამაშა კონკურენტ „ტირასპოლთან“ და სამეულში შესვლის შანსს ინარჩუნებს.

ლომიძე 90-ე წუთზე შეცვალეს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გვაზავას იაპონური 90

ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგია“ შეკრებას იაპონიაში გადის და იქაურ გუნდებს ეჯიბრება.

პირველი მატჩი ვლადივოსტოკელებმა „ვანფორე კოფუსთან“ გამართეს და 3:1 დაამარცხეს.

ლევან გვაზავა ერთადერთი ფეხბურთელი იყო „ლუჩის“ შემადგენლობაში, შეუცვლელად რომ ითამაშა, თუმცა წინა საკონტროლო მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად თავი ვერაფრით გამოიჩინა.

ემანუელ ადებაიორმა კახა კალაძეს და ალესანდრო ნესტას საქმე არ მოაკლო

ჩვენ შარშანაც კი გვეძახდნენ ბებრებს

კახა კალაძე: არსენალმა მოგება დაიმსახურა

ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებული კახა კალაძე წლეულს უტიტულოდ დარჩება. ბოლო იმედი ისევ ჩემპიონთა ლიგის მოგება იყო, თუმც ჩვენებურის „მილანი“ მერვედფინალიდან ლონდონის „არსენალმა“ დაიფრინა (0:0, 2:0). კალაძეზე ვერავინ იტყვის, ცუდად ითამაშაო, განსაკუთრებით პირველ მატჩში. თუმცა ფაქტია — მეოთხედფინალში ინგლისელები არიან. „არსენალთან“ მატჩის თაობაზე კალაძეს რუსი ჟურნალისტები ესაუბრნენ...

— როგორ შეაფასებდით „არსენალთან“ მატჩს, რის ხარჯზე აღმოჩნდნენ „მეთოფეები“ ძლიერნი?

— ობიექტურად რომ ვთქვათ, „არსენალმა“ სამართლიანად მოიგო და იმსახურებს მომდევნო ეტაპზე თამაშს. მეტოქემ უამრავი საგოლე მომენტი შექმნა და თამაშით მოიგო. მომენტები ჩვენც გვქონდა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოგვეყენებინა. ამასთან, ჩვენი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი მატჩს არაოპტიმალურ ფორმაში შეხვდა. კლარენს ზეედორფს საერთოდ არ უთამაშია, კაკა ტრავმიანი იყო... არ დავმალავ, რომ ფსიქოლოგიური დატვირთვაც გვქონდა — ჩვენ ჩემპიონთა ლიგის ტიტულს ვიცავდით. რას ვიზამთ, „მილანი“ ყოველთვის ვერ მოიგებს. ისღა დაგვრჩენია, ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დავიკავოთ, რათა გაისად ისევ მოვხვდეთ ჩემპიონთა ლიგაში.

— თვალსაჩინო იყო, რომ „არსენალი“ სისწრაფეში გჯობდათ. მეთანხმებით?

— ძნელია, არ დაგეთანხმოთ...

— 84-ე წუთამდე, სანამ გარკვეული არაფერი იყო, უკვე დამატებითი დროისთვის ემზადებოდით?

— რას ამბობთ?! არანაირი კონცენტრაციის დაკარგვაზე საუბარი არ შეიძლება. პირველი მატჩის შემდეგ მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობდით. საერთოდ, ისეთ ტურნირში, როგორიც ჩემპიონთა ლიგაა, არავინ კარგავს კონცენტრაციას.

— „არსენალის“ ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?

— რუთლი კითხვაა. ვიტყოდი, რომ „არსენალის“ ძალა არა რომელიმე კონკრეტულ ფეხბურთელში, არამედ მთლიანად გუნდშია. მისი ყველა ფეხბურთელი ჩვენთვის საშიში იყო.

— ჟურნალისტებმა „არსენალის“ ახალგაზრდულობასა და „მილანის“ გამოცდილებაზე გაამახვილეს ყურადღება. თქვენი აზრით, ახალგაზრდობამ აჯობა გამოცდილებას?

— ასე არ ვიტყოდი. შარშან ჩვენ „ბებრებად“ გვთვლიდნენ, მაგრამ ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ. ჩემი აზრით, „არსენალის“ ფეხბურთელებს გამარჯვების მეტი სურვილი ჰქონდათ.

— „არსენალს“ შესწევს ძალა, ჩემპიონთა ლიგა მოიგოს?

— არის კიდევ რამდენიმე ძლიერი გუნდი: „ბარსელონა“, „ჩელსი“, „რომა“... ამიტომ წინასწარ ვერაფერს ვიტყვი.

— პირველი მატჩის შემდეგ თქვენს ავტობუსში ანდრეი შევჩენკო შენიშნეს...

— ჩვენ ერთმანეთი ვნახეთ და სასტუმროშიც ვისაუბრეთ.

— გსურთ, ანდრეი „მილანში“ დაბრუნდეს? რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს?

— მე მინდა. რაც უნდა იყოს, ჩვენ კიევშიც და მილანშიც ერთად ვთამაშობდით. რაც შეეხება რეალურად დაბრუნებას, როგორც ვიცი, ხელმძღვანელობასაც აქვს ამის სურვილი. ყველაფერი თავად შევჩენკოზეა დამოკიდებული.

ლატვიური მიდი-მოდი: დინაბურგმა დაამთავრა, სკონტო კი ამთავრებს

ლატვიური „დინაბურგის“ ქართველმა მწვრთნელმა თამაზ პერტიამ თურქული შეკრება დადებითად შეაფასა...

„შეკრებამ ნაყოფიერად ჩაიარა და დადებითი შთაბეჭდილება დამრჩა. მომზადების დასახული გეგმის შესრულებაში ამინდებმაც შეგვიწყო ხელი. სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობებითაც კმაყოფილი დავრჩი. საკონტროლო მატჩებში სხვადასხვა სათამაშო სქემა დავამუშავეთ, რაც გუნდის ძლიერი და სუსტი წერტილების განსაზღვრაში დაგვეხმარა. ხუთბალიანი სისტემით გუნდს კარგ ოთხიანს დავუწერ“ — განაცხადა კლუბის ოფიციალური ვებგვერდზე პერტიამ.

შეგახსენებთ, „დინაბურგს“ თურქეთში შოთა ბაბუნაშვილიც ახლდა, თუმცა ბოლო წამს მხარეებს შორის შეთანხმება არ მოხერხდა.

პერტიას შეგირდებში ერთი ქართველი მაინც არის — ბაქარ გიორგაძე.

„დინაბურგი“ შეკრებას მორჩა, ასევე ლატვიური გუნდი, რიგის „სკონტო“ კი ახლაც იქ არის. რიგელებმა მორიგი საკონტროლო მატჩი გამართეს და რუსეთის პირველდივიზიონელ „ნოსტასთან“ 1:2 დამარცხდნენ.

დავით გამეზარდაშვილმა და ვლადიმერ დვალიშვილმა სრულად ითამაშეს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

მხიარული დუეტი

მუჯირის დებიუტი უასათიანოდ იქნება



ხვალ მალხაზ ასათიანის და დავით მუჯირის „ლოკომოტივი“ სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს გამართავს — რუსეთის სუპერთასზე რკინიგზელთა მეტოქე სანკტ პეტერბურგის „ზენიტი“ იქნება. ხვალინდელ მატჩში მუჯირს თამაშის დიდი შანსი აქვს, ასათიანის გამოჩენა კი გამორიცხულია — წელს მკურნალობს. ვარჯიშისგან გათავისუფლებული ასათიანი რუსმა ჟურნალისტებმა მაშინ „გამოიჭირეს“, როცა იგი მუჯირს ელოდებოდა...

„მოწყენილი არასდროს ვარ, მაგრამ მუჯირის მოსვლამ უფრო გამამხიარულა. უკეთესი იქნება, თუ ნაკლებ კითხვებს დამისვამთ, თუმც გულშემატკივრებისაც გასაგებია — ჩვენი ამბები აინტერესებთ“ — უთხრა ასათიანმა ჟურნალისტებს.

კითხვები კი მართლაც ცოტა მიიღო — „ლოკომოტივსა“ და მომავალ მატჩზე...

— „ლოკომოტივი“ კარგ ფორმაშია. შეკრებები ნაყოფიერი გამოდგა, კარგად ვიმუშავეთ როგორც ფიზიკურად, ასევე ტაქტიკურად. შედეგები სეზონში გამოჩნდება. „ზენიტთან“ ვითამაშებთ იმ ფეხბურთს, რასაც მწვრთნელი ითხოვს — შემტევს. დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, საიდუმლოა, ყველაფერს თავად ნახავთ. შანსებს კი თანაბრად ვაფასებ — განაცხადა ასათიანმა და იქაურობას გაეცალა.

ამ დროს ჟურნალისტმა მუჯირი შენიშნა, რომელიც ავტოგრაფებს არიგებდა...

— სიამოვნებით გიპასუხებთ, მაგრამ ვჩქარობ, მალხაზი მელოდება. და ერთიც: „კრილიადან“ წამოსვლის თაობაზე ნურაფერს მკითხავთ — აფრთხილებს მუჯირი.

— ითამაშებს თუ არა „ზენიტთან“ მუჯირი სასტარტო შემადგენლობაში?

— ეს კითხვა მწვრთნელს უნდა დაუსვათ. მხოლოდ მან იცის, ვინ გავა მოედანზე. მხოლოდ ის შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ხუთ წუთს ვითამაშებ, ათს თუ ოთხმოცდაათს, ვითამაშებ ისე, რომ ჩემ მიმართ პრეტენზია არავის ჰქონდეს.

ამასობაში ქუჩაში გამოსულმა მუმუმ ასათიანის მანქანა დაინახა და მისკენ გაემართა, თუმცა გზადაგზა ჟურნალისტიც არ რჩება უპასუხოდ...

— „ზენიტი“ კარგი გუნდია, რუსეთის ჩემპიონი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ შანსი არ გვაქვს.

მუჯირს საუბარს ასათიანი აწყვეტინებს: „მე ორმოცდაათი ორმოცდაათზე ვუთხარი, შენც იგივე უნდა გაიმეორო“.

თუმცა მომღიმარი მუჯირი მაინც გამარჯვებაზე ფიქრობს:

— წინასწარ რამის თქმა ძნელია. ბრძოლა იქნება. ჩვენ შევეცდებით, შევასრულოთ ამოცანა — მოვიგოთ და სეზონი ტიტულის მოპოვებით დავიწყოთ. ეს სასიამოვნო იქნება, მით უფრო, რომ წინ კიდევ ერთი ამოცანის გადაჭრა გველის — ჩემპიონობა.

მიხეილ ჟორჟოლიანი

საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — II წრე. 16 ტური

ჯაბა ლიპარტიამ მეკარე დაჯაბნა და — 2:0

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ვიტ ჯორჯიამ დილას თამაშგარე შეაძულა

მცხეთა. 7 მარტი. 15 საათი. არმაზი. 200 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია 2:0 დილა

1:0 გ. დათუნაიშვილი (34), 2:0 ლიპარტია (80)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ლ. ჯაფარიძე, რაზმაძე (პ. დათუნაიშვილი 56), გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ლუჭაშვილი (ბერიაშვილი 62), სახოკია (ლიპარტია 66). **სათადარიგონი:** ღურწკაიშვილი, ყველაშვილი, კვალიანი, იჩქვაა. **მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე	**დილა:** კეჩხუაშვილი, ზ. ლაცაბიძე, ი. გვეტაძე, ბერიანიძე, ბალიაშვილი, საყვარელიძე, ნ. ნოზაძე (აბრამიშვილი 66), ი. ლომიძე (ბ. ჩიტაია 76), ვარდოსანიძე, გ. მიქაძე, გ. წინამძღვრიშვილი (იჩქითი 46). **სათადარიგონი:** ცერცვაძე, რატიანი, ლ. რეხვიაშვილი. **მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი

გაფრთხილება: კეჩხუაშვილი (12), რაზმაძე (17), საყვარელიძე (34), მიქაძე (58), ბერიაშვილი (89), აბრამიშვილი (90)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. ჯვარიძე, ი. უკლება, ვ. გუმბერიძე

დამკვირვებელი: პ. ბურჯალიანი

ნუკრი ლოლაძე მცხეთიდან

ჩემპიონობისთვის მებრძოლი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ და ერთ-ერთი აუტსაიდერი გორის „დილა“ — რას ველოდით ამ მატჩისგან? ბუნებრივია, ქართულ ფეხბურთში ჩახედული ხალხი თბილისელთა გამარჯვებას იწინასწარმეტყველებდა და ასეც მოხდა — ნესტორ მუმლაძის გუნდმა გაიმარჯვა, თუმცა ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს რომ შეეფერებოდა, ისეთი ფეხბურთი არ უჩვენებია.

ისედაც ცუდ დღეში მყოფ ქართლელებს ოთხი წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ — გიორგი ბალაშვილი, ქრისტეფორე შატაკიშვილი, საბა სულთანიშვილი და გურამ სადალაშვილი.

სახიფათო მომენტებით დახუნძლული თამაში არ ყოფილა. პირველი რეალური მომენტი მე-3 წუთზე ზაზა სახოკიას შეექმნა, თუმცა მეკარესთვის ბურთის თავზე გადაგდება მოინდომა და არ გამოუვიდა.

იმავ სახოკიას მე-20 წუთზეც შეეძლო ეხეირა, თუმცა ბესიკ კეჩხუაშვილმა არ გაატანინა.

მატჩში ერთადერთი ხიფათი „ვიტ ჯორჯიას“ კართან 26-ე წუთზე შეიქმნა — ნოდარ ნოზაძის ჩაწოდებულ საჯარიმოს გიორგი მიქაძემ თავური მიაყოლა, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნა.

90 წუთის განმავლობაში გორელებს გრიგოლ ბედიაშვილის კარისკენ ერთხელაც არ დაურტყამთ.

34-ე წუთზე თბილისელებმა გორელთა საჯარიმოში ჩაჰკიდეს ბურთი, კეჩხუაშვილი კი გამოვიდა და მუშტებით მოედნის ცენტრისკენ გადმოაგდო, თუმცა ლუკა რაზმაძემ უკან დააბრუნა, „დილას“ მცველებმა ამოსვლა ველარ მოასწრეს, გიორგი დათუნაიშვილმა კი ბურთს თავი წაჰკრა და თავისი გუნდი დააწინაურა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კეჩხუაშვილი უხეშად შეცდა, თუმცა ვასილ ლუჭაშვილი შეყოვნდა და კარში არ დაარტყა, მერე ბურთი ცარიელ კართან მდგომ სახოკიას გადააწოდა, მაგრამ მას სიზუსტემ უმტყუნა.

56-ე წუთზე მუმლაძემ თამაშში პავლე დათუნაიშვილი ჩართო, ოდნავ მოგვიანებით კი ჯაბა ლიპარტიაც გამოვიდა მოედანზე, რომელიც გამორჩეული იყო და გოლიც გაიტანა — „დილას“ დაცვა ისევ ჩავარდა ხელოვნური თამაშგარის გაკეთებისას, ლიპარტიამ მეკარეს დაასწრო, თავზე გადაუგდო ბურთი და ცარიელ კარში შეაგორა — 2:0.

გელაშვილმა მარტის ბოლო თქვა

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

„ზესტაფონმა“ იანვარში თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ ფორვარდი ნიკა გელაშვილი გადაიბირა, თუმცა თურქულ შეკრებაზე გელაშვილმა ლავიწის ძვალი გაიტეხა და ჯერაც უქმობს.

წინა ტურის მსგავსად, ნიკა გუშინ „ვიტ ჯორჯია“ — „დილას“ მატჩის სანახავად იყო და ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც ვკითხეთ: „სამ დღეში ძუნძულს დავიწყებ, ამ თვის ბოლოს კი სრული დატვირთვით ვარჯიშიც შემეძლება“.

ნუკრი ლოლაძე

ბათუმი. 7 მარტი. 15 საათი. ადლია. 200 მაყურებელი

ბათუმი 1:1 სიონი

0:1 ჩასემი (35), 1:1 ქებაძე (38)

ბათუმი: სტურუა, ვ. კუნჭულია, კ. მახარაძე, თედორაძე, მაკარიანი, ზ. ქუთათელაძე, ბაბუნაშვილი, ბეჟანიძე (ოქრუაშვილი 78), ქებაძე, გაგა ჩხეტიანი, გ. თურმანიძე. **სათადარიგონი:** თოთლაძე, გალოგრე, ფარტენაძე, ა. ბაჟელიძე, ბ. მახარაძე, ტუღუში. **მწვრთნელი:** ავთანდილ კუნჭულია	**სიონი:** ბობლიაშვილი, სვანიძე, ფრიდოლინი, შავგულიძე, კობაური, სანიკიძე, ლ. ბაჟელიძე, კვიტაშვილი (ზ. ჭელიძე 90), ბ. ნოზაძე, ჩასემი, შ. ჯიქია (გ. ოქროპირიძე 67). **სათადარიგონი:** გ. იაშვილი, ზ. ავალიანი, ლ. ვაშაკიძე, კეტაშვილი, ნაცვლიშვილი. **მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

გაფრთხილება: ლ. ბაჟელიძე (20), ჯიქია (38), კობაური (42), კ. მახარაძე (43), ბაბუნაშვილი (73), ფრიდოლინი (90)

მსაჯები: მ. ურუშაძე, ზ. მენთეშაშვილი, ი. მაჩიტიძე, გ. დოგრაშვილი

ავთანდილ კუნჭულიამ ბათუმი გამოიტირა

როგორ კარგავს ფერს იუბილე

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

„ბათუმის“ მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ კუნჭულიამ მატჩის შემდეგ თქვა, რომ თავის გუნდს უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი აღარ აქვს.

თუ ასე მოხდა, კუნჭულია პირველი მწვრთნელი იქნება „ბათუმის“ ისტორიაში, ვის ხელშიც გუნდი პირველ ლიგაში გავარდება.

ცნობისთვის: „ბათუმს“ წლეულს დაარსებიდან 85 წელი უსრულდება, იუბილეს კი, სავარაუდოდ, პირველ ლიგაში შეხვდებიან, რაც ბათუმელი გულშემატკივრებისთვის ძალიან სამწუხარო ამბავია.


ავთანდილ კუნჭულია

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მატჩი დაძაბული, უხეში და საკმაოდ სანახაობრივი გამოდგა. ბათუმელებს მოგება შეეძლოთ, მაგრამ იღბალი მათ წინააღმდეგ იყო.

პირველი სახიფათო შეტევა სტუმრებმა განახორციელეს — ბექა ნოზაძემ მარჯვენა ფლანგიდან გადააწოდა გიორგი კვიტაშვილს, რომელმაც ყველას აჯობა, თავით დაარტყა და მცირე მანძილით ააცილა ბურთი კარს.

ბოლნისელთა შეტევები ბათუმელებმა მოიგერიეს და თამაშიც მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს.

მასპინძელთა უიღბლობა მე-12 წუთზე დაიწყო. მეტოქის საჯარიმოს მისადგომებთან ლაშა ქებაძემ გიორგი თურმანიძეს უპასა, მისი პირველი დარტყმა მცველებმა მოიგერიეს, მეორედ კი ხარიხამ იხსნა სტუმართა კარი.

მორიგ შეტევაში თურმანიძის კუთხურს შოთა ბაბუნაშვილის თავური დარტყმა მოჰყვა და რომ არა მინდია ბობლიაშვილის კარგი რეაქცია და ლამაზი ნახტომი, ანგარიში გაიხსნებოდა — მეკარე გაფრინდა და მარცხენა ხელით შესწვდა ბურთს...

ბათუმელები უტევდნენ, მაგრამ ანგარიში იგივე რჩებოდა...

ვერ გაიტან, გაგიტანენ: 35-ე წუთზე ლევან სანიკიძემ საკუთარი ნახევრიდან ბურთი უმისამართოდ მოიგერია, მაგრამ საგოლე გადაცემა კი გამოუვიდა — ბურთი ზვიად სტურუას საჯარიმოს მისადგომებთან დაეშვა. ორ ბათუმელ მცველს უკან ერიკ რომეო ჩასემი მისდევდა. სტურუა ბურთის მოსაგერიებლად კარიდან გამოვიდა, ბურთი კი კახა მახარაძეს ფეხზე მოხვდა და სტურუას ასცდა...

ბურთი კარისკენ მიგორავდა, ჩასემის ბათუმელებს დაუსხლტა და ანგარიში გახსნა — 0:1.

გაშვებულმა გოლმა ბათუმელები არ გატეხა. მატჩი ისევ სტუმართა ნახევარზე მიმდინარეობდა.

38-ე წუთზე ბაბუნაშვილი საჯარიმოში შეიჭრა, იქ კი შოთა ჯიქიამ წესების დარღვევით შეაჩერა და პენალტი!

ქებაძემ თერთმეტი მეტრიდან ზუსტად დაარტყა — 1:1.

პირველი ტაიმის ბოლოს გაგა ჩხეტიანს გოლის გატანის რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბოლნისელთა კარის აღება ველარ მოახერხა.

მეორე ტაიმი უხეში გამოდგა. ბათუმელებს გოლი სჭირდებოდათ, ბოლნისელები კი ანგარიშის შენარჩუნებას ცდილობდნენ. მსაჯსაც უფრო ხშირად უწევდა თამაშში ჩარევა.

დროდადრო სახიფათო შეტევებმა იკლო — სულ რაღაც ორჯერ შეიქმნა საგოლე ეპიზოდი. პირველად თურმანიძის ჩაწოდებულ ბურთს ზვიად ქუთათელაძემ დაუხვედრა თავი და მცირე მანძილით ააცილა ბობლიაშვილის კარს. მეორედაც თურმანიძემ გამოიჩინა თავი — მარცხენა ფლანგიდან ჯარიმა დაარტყა მეკარისაგან შორეულ მარცხენა კუთხეში და ბობლიაშვილმა ისევ ლამაზი ნახტომით იხსნა კარი.

საქართველოს უმაღლესი ლიგა 19 ჩემპიონატი
II წრე. 16 ტური
ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამოს ბორჯომთან დინამიკა არ დასჭირდა

მათე ვაწაძემ კოკა სეფიაშვილი ორჯერ დაამწუხრა

ბადრი ქუთელაძის ფოტო

თბილისი. 7 მარტი. 15 საათი. ეროვნული. 500 მაყურებელი

დინამო 4:2 ბორჯომი

1:0 ვაწაძე (8), 2:0 სპასოევიჩი (43), 2:1 მეგრელაძე (60), 3:1 ვაწაძე (72), 4:1 ხუციშვილი (85), 4:2 ლომიძე (90)

დინამო: ლორია, შ. კაშია, გ. კაშია, ნერგაძე, დობები (გველესიანი 83), დიღმელაშვილი, ფირცხალავა (თომაშვილი 68), ოდიკაძე (სპასოევიჩი 28), ხუციშვილი, გ. მერებაშვილი, ვაწაძე	ბორჯომი: სეფიაშვილი, ქარქუზაშვილი, გოგიჩაიშვილი, ვ. ბოლქვაძე, ჯიუსი, თედიაშვილი, ქავთარაძე (ნ. ლომიძე 59), კაკუბავა, კირთაძე, მეგრელაძე, გუგავა
სათადარიგონი: ლოსაბერიძე; ქანთარია, აკირემი, ნემსაძე	სათადარიგონი: გრიშიკაშვილი; დევიძე
მწვრთნელი: დუშან უჭრინი	მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, კ. ბერაძე, კ. გაბრიაძე, ლ. სილაგავა

დამკვირვებელი: ო. რუხაძე

ილია ნანობაშვილი

სანამ თამაშის აღწერას შევუდგებით, შემადგენლობებს შევხედოთ და აქედანაც მიხვდებით, რომ „დინამოს“ ცხრათავიან გველეშაპთან ბრძოლა არ ელოდა — მასპინძლებს დიდიე ოვონო, ნედ ზელიჩი და მილოშ კრშკო არ ჰყავდათ.

და რა უნდა ექნა „ბორჯომს“, როცა განაცხადში 14 ფეხბურთელი ჰყავდა და მათ შორის არ იყვნენ შოთა გრიგალაშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი, რომლებიც „დინამოდან“ არიან განათხოვრებულნი და შეთანხმებით, გუშინ თამაშის უფლება არ ჰქონდათ?! თუმც კურორტელებში „დინამოდან“ ნათხოვარი სხვა ფეხბურთელები (ახალგაზრდები) კი გამოიყვანეს. რატომ? ადვილი საპასუხოა — ფიზიკურად ვერ აგროვებდნენ მოთამაშეებს.

დუშან უჭრინმა მათე ვაწაძეს ბოლნისში გატანილი მნიშვნელოვანი გოლისთვის სამადლობელი გადაუხადა და ძირითადში დააყენა, რაც ახალგაზრდა ფორვარდმა მშვენივრად შეირგო — მე-8 წუთზე მან დავით ოდიკაძის პასით კოკა სეფიაშვილთან პირისპირ გასვლისას გაისხნა ანგარიში, მეორე ტაიმში კი ილია სპასოევიჩის მარჯვნიდან ჩაწოდებული ახლოდან გადაგზავნა კარში ვაწაძემ და დუბლი შეასრულა. ჰეთ თრიქიც თავისუფალად შეეძლო, მარტო მას კი არა, გიორგი მერებაშვილს, მიხეილ ხუციშვილს და ილია სპასოევიჩს იმდენჯერ შეეძლოთ გატანა, აღწერით დავიღლებით.

დაცვის ცენტრში ითამაშა გიორგი ნერგაძემ და ეს იყო სიახლე უჭრინის სათამაშო სქემაში — ეგებ იმიტომაც, რომ კრშკო-ზელიჩი არ იყვნენ. „ბორჯომს“ კი ფორვარდი გიორგი მეგრელაძე ჰყავდა, ვინაც 60-ე წუთზე ეფექტური თავური გაიტანა — ბურთი თავზე გადაავლო დინამოელთა მეკარე გიორგი ლორიას.

მეგრელაძის გოლით 2:1 გახდა და მასპინძელთა მეორე გატანილზე არ გვითქვამს — სპასოევიჩმა მერებაშვილის ჩაწოდებულს თავი მარჯვედ დაჰკრა და სეფიაშვილმა მხოლოდ თითები წაატანა ბურთს.

მიუხედავად ანგარიშის შემცირებისა, „ბორჯომს“ ეტყობოდა, რომ გამთანაბრებელი არ იყო. 12 წუთში ვაწაძემ ორბურთიანი ფორა აღადგინა, მერე კი მეოთხეც გავიდა: სამი დინამოელი სეფიაშვილის კარიდან 5 მეტრის მოშორებით იდგა და მათ მხოლოდ ერთი ბორჯომელი ელობებოდა. ხუციშვილმაც ოდნავ წაუცაცუნა ბურთს ფეხი და საგოლედ ესეც საკმარისი იყო — 4:1.

და როცა მსაჯი უკვე საფინალოდ ჩასასტვენად ემზადებოდა, კურორტელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, „დინამოს“ საჯარიმოში პასების კასკადი მოაწყვეს, მერე გიორგი გოგუამ ძელს მოარტყა ბურთი და გადმოვარდნილს ნიკა ლომიძემ დაამატა — 4:2.

„ბორჯომი“ დიდი ანგარიშით მარცხს გადაურჩა.

სამწუხაროდ, ძალიან ხშირია ჩვენს ჩემპიონატში მატჩები, რომლის ბოლო ნახევარ საათში ყველანაირი დინამიკა და ტემპი კვდება, გუშინაც ასე იყო...

ოლიმპმა კოვალევსკი განაცხადში შეიყვანა

საქართველოში სატრანსფერო ფანჯარა მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებისთვის დაიხურა, გუნდებს სხვა ქვეყნებიდან ლეგიონერებს მოწვევის უფლება კი აქვთ და რუსთავის „ოლიმპმაც“ ამით ისარგებლა — გუშინ რუსთაველებმა განაცხადში უკრაინელი ლეგიონერი ანტონ კოვალევსკი შეიყვანეს.

გეხსომებათ, კოვალევსკი „ოლიმპს“ „თანამეგობრობის თასზე“ ახლდა, შემდგომ კი მისი საქართველოში ჩამოყვანა გაჯანჯღლდა.

ასეა თუ ისე, კოვალევსკი უკვე რუსთავშია, „ოლიმპი“ მისთვის უცხოც არ არის და, როგორც გუნდის მწვრთნელმა ვარლამ კილასონიამ გვითხრა, გამორიცხული არ არის, „ამერთან“ დღევანდელ მატჩში ძირითადშიც ითამაშოს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

პირველი ლიგა

დასავლეთი

გადადებული მატჩი

ზესტაფონი 2 3:0 ტორპედო

მაღაროელი	16	14	2	0	38:11	44
მარტვილი	16	8	3	5	21:14	27
მეშახტე	15	9	0	6	27:25	27
ტორპედო	16	7	4	5	26:22	25
ზესტაფონი 2	15	7	2	6	24:15	23
ჯოლხეთი	16	6	5	5	20:19	23
ხობი	15	4	5	6	18:21	17
უნივერსიტეტი	15	4	3	8	11:16	15
ფაზისი	16	2	2	12	17:40	8
სამტრედია	15	2	2	11	14:35	8

ბორი. 7 მარტი. 15 საათი. ქართლი. 50 მაყურებელი

სპარტაკი 1:0 მერანი

1:0 ტყეშელაშვილი (82)

სპარტაკი: კოდალაევი, დათუნაშვილი, ხაჭიპერაძე (ვ. კვარაცხელია 53), ქემოკლიძე, მამუკაშვილი, ხიდაშელი (ტყეშელაშვილი 46), ბახტურიძე, თარხნიშვილი, გოგოხია, ძარია, მ. ღონღაძე (მედოევი 76)	მერანი: თევდორაძე, ლოლაძე, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, კობერიძე (ქემაშვილი 24), ა. კალაძე, ბ. ულენტი, ქოქიაშვილი (ბესარაშვილი 56), ვ. გოჩაშვილი (იაგო დეისაძე 46)
სათადარიგონი: ქვილითაია, თექთუმანიძე, ქორიძე, კუპრეიშვილი	სათადარიგონი: გლუნჩაძე, იაკობ დეისაძე, ფურთუხია, გ. თავბერიძე
მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი	მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი

გაფრთხილება: ტყეშელაშვილი (60)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ს. სპიცინი, ა. კოკაია, ხ. გაგნიძე

სპარტაკმა მერანს ადგილი მოუგო

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

სატურნირო ცხრილში მეზობლად მყოფი მეტოქეების შეხვედრა უშელავათო გამოდგა.

პირველი ნახევარი საკმაოდ უინტერესოდ წარიმართა, რადგან მოთამაშენი ბევრს სცოდავდნენ და კომბინაციური თამაში არ გამოსდიოდათ. თავიდან უპირატესობა სტუმრებმა მოიპოვეს და მასპინძლებს კონტრშეტევებზე თამაში მოუხდათ. მე-7 წუთზე დავით ქოქიაშვილმა ფლანგიდან ჩააწოდა საჯარიმოში შეჭრილ ბექა ულენტს, რომელმაც დასწრებაზე ითამაშა, მაგრამ მისი თავური ოდნავ ასცდა კარს.

მასპინძლები ცდილობდნენ გარდატეხის შეტანას, მაგრამ სტუმრების ნახევარდაცვა უფრო აქტიურობდა. ტაიმის ბოლოს „სპარტაკმაც“ შექმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი. 28-ე წუთზე მამუკა ღონღაძემ ვერ მოასწრო ბურთის დაუფლება და მცველებმა განმუხტეს სიტუაცია, 35-ე წუთზე კი მანვე გარღვევა განახორციელა, მაგრამ დაცვამ კვლავ იყოჩაღა.

მეორე ტაიმი უფრო საინტერესო გამოდგა და მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. შეცვლაზე შესულმა ტყეშელაშვილმა და კვარაცხელიამ მეტი სიმწვავე შემატეს „სპარტაკის“ შეტევებს.

69-ე წუთზე „სპარტაკი“ აშკარა გოლს გადაურჩა — ულენტის ძლიერად დარტყმული საჯარიმო კოდალაევმა უხერხულად მოიგერია, ბურთთან ყველას მიხეილ ბესარაშვილმა მიასწრო, სამიოდ მეტრიდან მახვილი კუთხიდან დაარტყა კარში, მაგრამ მეკარეს ვერ ააცილა.

მატჩის ბოლოს კვლავ მასპინძლებმა იძალეს და რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელეს.

77-ე წუთზე ღონღაძე ვაიჭრა ფლანგზე და ზუსტად გადააწოდა კვარაცხელიას, რომლის დარტყმული ბურთი თევდორაძეს პირდაპირ ხელებში მიუვიდა. ხუთ წუთში კი „სპარტაკმა“ მაინც მიაღწია თავისას — ტყეშელაშვილმა საჯარიმოსთან მიიღო ბურთი და ძლიერი დარტყმით მარცხენა კუთხეში გაგზავნა — 1:0.

დინამო	16	14	0	2	42:9	42
ვიტ ჯორჯია	16	13	1	2	30:9	40
ზესტაფონი	15	12	1	2	31:9	37
ოლიმპი	15	9	3	3	16:9	30
ბორჯომი	16	8	4	4	21:15	28
ამერი	15	8	1	6	24:17	25
მესხეთი	14	6	2	6	16:21	20
სიონი	16	5	4	7	20:20	19
მგლები	14	6	0	8	15:19	18
სპარტაკი	16	4	3	9	7:18	15
მერანი	16	4	1	11	8:25	13
ლოკომოტივი	15	3	1	11	9:23	10
დილა	16	1	4	11	7:28	7
ბათუმი	16	1	3	12	6:30	6

თბილისი. 8 მარტი. 15 საათი. ამერი

ამერი — ოლიმპი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ლ. თოდრია, ბ. ჭიჭინაძე, ო. ხეცაძე

ბორჯომი. 8 მარტი. 15 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი

მესხეთი — ლოკომოტივი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. მიქელაძე, კ. გუდურაშვილი, ი. ურუშაძე

ზუგდიდი. 8 მარტი. 15 საათი. გ. თუთბერიძე

მგლები — ზესტაფონი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე, გ. კიკაჩეიშვილი

ფეხბურთი
თბილისი. ამერის სტადიონი
უმაღლესი ლიგა. მეთექვსმეტე ტური
8 მარტი
ამერი — ოლიმპი
თბილისი რუსთავი
დასაწყისი 15 საათზე. ბილეთის ფასი 1 ლარი

ნოდარ ახალკაცი: იყო კორუფცია!

დღეს ვასრულებთ „სარბიელის“ მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდის სტენოგრამის მეოთხე, ბოლო ნაწილის ბეჭდვას. საუბრის მონაწილეთა ვინაობას კი შეგახსენებთ: ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტი გია ბაღაშვილი, ყოფილი მორაგბე, საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ლევან ცაბაძე და სარბიელელები, გიორგი დარჯანია და კობა ინასარიძე

კობა ინასარიძე, გიორგი დარჯანია, ნოდარ ახალკაცი, გია ბაღაშვილი და ლევან ცაბაძე

კოსოვოს პრეზიდენტი ჩვენი პრეზიდენტი არ არის

იცოდეთ, სად მიგყავთ შვილები

დასასრული
(დასაწყისი იხილეთ 5 მარტის „სარბიელში“)

გია ბაღაშვილი: არის კიდევ ერთი მტკივნეული თემა. აი, ბატონმა ლევანმა ახსნა, ყველა მწვრთნელი ერთად ვიკრიბებით და ერთიანი სულისკვეთება გვაქვსო. ეს არის კონსოლიდაციის პრობლემა. გულწრფელად გეტყვით: ვინც უნდა იყოს ფეხბურთის ფედერაციის სათავეში, მე, როგორც გულშემატკივარი, ყოველთვის ვიქნები მისი წარმატებით დაინტერესებული, რადგან ეს ჩვენი გამარჯვებაც იქნება. მაგრამ ფაქტია, რომ ეს გახლეჩილობა ბევრ რამეში ხელს უშლის ფეხბურთის განვითარებას. ბატონმა ნოდარმა ფეხბურთის ხიბლი ახსენა და ერთი მნიშვნელოვანი ხიბლი ისიც არის, რომ ფეხბურთს შეუძლია ერის კონსოლიდაცია, გაერთიანება. სამწუხაროდ, არც ერთ სხვა სახეობას ეს არ შეუძლია. მორაგბეთა მიმართ ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ფეხბურთს ამ მხრივ ყველაზე დიდი ძალა აქვს.

ნოდარ ახალკაცი: დიახ, ფეხბურთში სხვა მასშტაბებია.

გია ბაღაშვილი: ჩემი აზრით, კონსოლიდაციის პრობლემის მოგვარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია.

გიორგი დარჯანია: კობა, შენ ხარ ის ჟურნალისტი, რომელიც ჩემპიონატის ყოველ ტურს ესწრები. როდესაც მიდიხარ სტადიონზე, რა პრობლემა გხვდება თვალში — გნებავს, ტრიბუნაზე და გნებავს, მოედანზე...

კობა ინასარიძე: ტრიბუნაზე მთავარი პრობლემა სიცარიელეა.

გიორგი დარჯანია: და ამ პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი მექანიზმი ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციაა, რაზეც უკვე ვისაუბრეთ...

ნოდარ ახალკაცი: მაგრამ ეს პრობლემა ერთი ხელის მოსმით ვერ მოგვარდება.

გიორგი დარჯანია: ჩვენთან არის სტადიონები, რომლებზეც ოპერატორი რომ იღებს, უკანა პლანზე ჩანს, როგორ ბალახობს ძროხა...

ლევან ცაბაძე: ტელევიზიებმაც უნდა ისწავლონ, როგორ გადაიღონ თამაში.

ნოდარ ახალკაცი: ჩვენ დაგვჭირდა სპეციალური ჯგუფის ჩამოყვანა, რომლის მიზანიც სწორედ გადაღების ხარისხის დახვეწაა.

ლევან ცაბაძე: ჩვენ დღემდე ვუყურებთ ისეთ გადაღებას, როგორიც იყო წლების წინ და როცა ვნახავთ რვა კამერით გადაღებულ თამაშებს, ეს სულ სხვა რამ იქნება. და როცა ტელევიზორში კარგად გადაღებულ ფეხბურთს ნახავ, გიჩნდება სურვილი, უშუალოდ სტადიონზე ნახო ეს თამაში.

ნოდარ ახალკაცი: სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ „კოლხიდას“ საფეხბურთო მიმოხილვას ანონსი არ უძღოდა, რეიტინგში მეორე ადგილზე გავიდა.

ლევან ცაბაძე: ამასთანავე, როცა ფეხბურთელმა იცის, რომ ყოველ ტურში მის თამაშს ტელევიზორში აჩვენებენ, უფრო მონდომებული იქნება და საბოლოოდ ფეხბურთის დონეც აიწევს. ოღონდ, სატელევიზიო მიმოხილვის გარდა, უამრავი რამეა საჭირო დონის ასამაღლებლად — საჭიროა კარგი მოედნები. მე ვერ დავეთანხმები ბატონ ნოდარს, როცა ის ხელოვნურსაფარიან მოედნებზე ლაპარაკობს. ხელოვნური მოედანი ვერასდროს შეცვლის ბალახის მოედანს. მაგალითად, მორაგბეებს ხელოვნურზე ერთი ვარჯიში ორი-სამი მორაგბის ტრავმად გვიჯდება.

ნოდარ ახალკაცი: მართალი ბრძანდებით. მაგალითად, ეროვნული ნაკრები, ფაქტობრივად, არც ვარჯიშობს ხელოვნურ მოედანზე. ბავშვთა ფეხბურთში რაღაც დონეზე საჭიროა ხელოვნური მოედნები — როცა წვიმს და სხვა გზა არ გაქვს, ხელოვნური უნდა გამოიყენო.

ლევან ცაბაძე: არის მეორე პრობლემა — ახლა გვაქვს მოედანი, მაგრამ ვერ ვრწყავთ. ერთი მორწყვა 12 ათასი ლარი ჯდება. ხომ არ შეიძლება, სასმელი და სარწყავი წყალი ერთი და იგივე ფასი ღირდეს?!

გიორგი დარჯანია: ბატონო ნოდარ, წყლის გადასახადთან დაკავშირებით თუ არის რამე ძვირები — სახელმწიფო შეღავათს ვგულისხმობ...

ნოდარ ახალკაცი: გამოსავალი ინდივიდუალური მომარაგებაა, ანუ ჭაბურღილების სისტემის დანერგვა.

ლევან ცაბაძე: „შევარდენზე“ ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. 80 მეტრის სიღრმეზე ჩავედით და კირიანი წყალი ამოვიდა, რაც ბალახს წვავს.

ნოდარ ახალკაცი: ეს სერიოზული პრობლემებია. ჩვენ უეფას „ჰეთ თრიქის“ პროგრამიდან მიღებული თანხის ნაწილი გვსურს, სწორედ ამ მიმართულებით გამოვიყენოთ და 20 ბავშვთა სკოლას წყალმომარაგების პრობლემის მოგვარებაში დავეხმაროთ. ამასთანავე, გვინდა, სკოლებში განათების სისტემების დამონტაჟება, რის მერეც, ჩვენი გათვლით, 30-40 პროცენტით გაიზრდება ბავშვების რაოდენობა საფეხბურთო სკოლებში. ახლა ჩამობნელდება თუ არა, ვარჯიში შეუძლებელი ხდება. ასევე გვინდა, მათ ინვენტარით დავეხმაროთ.

გიორგი დარჯანია: ინვენტარის ხსენებაზე — საქართველოში ბურთი არ იწარმოება, ის უნდა ჩამოვიტანოთ, განბაჟება კი საკმაოდ ძვირი ღირს...

ნოდარ ახალკაცი: ასე არ არის, კანონმდებლობა უკვე შეცვლილია.

ლევან ცაბაძე: ალბათ თქვენთვის, თორემ მორაგბეებისთვის იგივე ტარიფებია. მაგალითად, დღგ ჯდება...

ნოდარ ახალკაცი: კი, დღგ ძველებურად გადასახდელია, ეს ვერ გაუქმდება. ადრე დამატებით სხვა გადასახადებიც იყო...

კობა ინასარიძე: ტელევიზიის სარგებლიანობაზე ერთსაც დავამატებ — მსაჯების დონეც ეგებ გაიზარდოს. როცა მსაჯმა იცის, რომ თამაში ტელევიზორშია, სწორად განსჯას ეცდება.

ლევან ცაბაძე: ასე ვთქვათ, თამაშს აღარ გააფუჭებს...

ნოდარ ახალკაცი: სამსაჯო კომიტეტიც ხომ მუშაობს აღმზდელობითი კუთხით — აანალიზებენ ჩატარებულ მატჩებს. როგორც კი დავა წარმოიქმნება და რაღაც არის განსახილველი, სულ გვიწევს იმაზე ლაპარაკი, რომ თამაში გადაღებულია ერთი კამერით და იმ პერსპექტივიდან ვერაფერს ხედავ. ამ დროს ვუყურებთ თანამედროვე გადაღებებს და ჩანს, რომ ერთი კამერიდან ჯარიმა იყო, ერთ ფეხბურთელს მეორე წაუქცევია და მეორე კამერიდან გადაღებულზე თურმე არც გაკარებია. ანუ ბევრი კამერით გადაღება ავტომატურად უბიძგებს უფრო სრულყოფილი შეფასებისკენ. მაგალითად, ზიდანის და მატერაცის ეპიზოდი რომ გავიხსენოთ, ბურთი სულ სხვაგან იყო, ამ დროს კი მსაჯმა ზიდანი გააძევა. ანუ ტრიბუნებზე მყოფებმა ვერაფერი გაიგეს და კამერებს რომ არ გადაეღოთ, ვერც ვერავინ მიხვდებოდა ვერაფერს.

გიორგი დარჯანია: მაგრამ არის სხვა ტიპის პრობლემებიც, რომლებსაც ბევრი კამერაც ვერ უშველის — გარიგებული თამაშები.

ნოდარ ახალკაცი: ნეტავ, მასეთი კამერა არსებობდეს, ჩაწყობას რომ ხედავს...

გიორგი დარჯანია: მოდით, გულახდილად ვთქვათ: ჩვენ შეიძლება ბევრ რამეს ვერ ვამბობთ იქიდან გამომდინარე, რომ არ გვაქვს კონკრეტული მტიცებულებები...

ნოდარ ახალკაცი: მე ნამდვილად არ ვიცი კონკრეტულად ისეთი თამაშები, რომლებიც არის გარიგებული. ანუ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მოგვცემს მტკიცებულებებს ამის გამოსავლენად. არის ერთდაერთი მექანიზმი, რომ თუ მატჩამდე გვაქვს რაღაც კონკრეტული ინფორმაცია და ეჭვი გაჩნდა... ამაზე ჩვენ ვიმსჯელეთ აღმასკომის სხდომაზეც და ამ შემთხვევაში მივმართავთ შესაბამის ორგანოებს, რათა ჩაატარონ გამოძიება. ვფიქრობ, რაც უფრო მეტი კერძო საკუთრებაში მყოფი გუნდი გვეყოლება, მით უფრო ნაკლები იქნება გარიგებული მატჩების ჩატარების ალბათობა. როცა შენი ჯიბიდან იღებ თანხას და ხარჯავ, მაშინ არც შენს თავს აძლევ უფლებას და არც სხვას, რომ მიღებული სტანდარტით იმუშავოს. კლუბებისგანაც არის აუცილებელი კეთილი ნება...

გია ბაღაშვილი: კონკრეტულ სატკივარზე იყო ლაპარაკი, მაგრამ არ ვიქნებით მართლები, თუ გლობალურ თემას არ შევეხებით. ძალიან ცუდ ემოციურ და ფსიქოლოგიურ ფონს ქმნის გათიშულობის პრობლემა. პირველ რიგში ვგულისხმობ გულშემატკივრების იმ 93 პროცენტს, რომლებიც ფიქრობენ, ხომ არ სჯობია, დაინიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. ძალიან ბევრი რეფორმაა განსახილველელი. ეს არის ხანგრძლივი და მტკივნეული რეფორმები. ყველა სახელმძღვანელოში წერია, რომ რეფორმებს ნებისმიერ სფეროში, პირველ რიგში, სჭირდება ნება და მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან. ასევე საზოგადოების მხარდაჭერა სჭირდება საფეხბურთო რეფორმებსაც. მაგრამ როცა ამბელა კითხვის ნიშანია, როცა ბევრი რამ ჰაერშია გამოკიდებული და ბუნდოვანია... შეიძლება ყველაფერი იურიდიულად გამართული იყოს, მაგრამ იმ იურიდიულს მიღმა არსებობს შინაგანი ნდობა და თუ რამე უშლის ხელს კონსოლიდაციას, სწორედ ეს განცდაა, რომ ყველაფერი სწორად არ გაკეთდა. ამ ეჭვების გაფანტვა ზუსტად როგორ უნდა მოხდეს, არ ვიცი... მაგრამ გეტყვით, როგორ ჩანს ყველაფერი რიგითი მაყურებლის გადასახედიდან: იმას, რაც გიორგი ნემსაძემ განაცხადა არჩევნების დამთავრებიდან 40 წუთში, აკეთებს შეურაცხადი ადამიანი, მაგრამ ის ასეთს არ ჰგავდა. აქედან ჩნდება ლოგიკური ვარაუდი, რომ რაღაც წნეხი იყო...

გიორგი დარჯანია: მაგრამ, ვფიქრობ, ეს არის კითხვა, რომლითაც უნდა მივმართოთ გიორგი ნემსაძეს და არა ნოდარ ახალკაცს...

გია ბაღაშვილი: მე ნოდარ ახალკაცს არც ვუსვამ ამ კითხვას. უბრალოდ, ვლაპარაკობ იმ განცდაზე, რომელმაც წარმოშვა ის 93 პროცენტი. ხოლო ნემსაძემ რატომ არ განაცხადა ყველაფერი ხმამაღლა, ეს მეც შემიძლია ვივარაუდო ვიცი, როგორი რეაქცია ექნება ამაზე ფედერაციას, მაგრამ არ შეიძლია ბატონ ნოდარს არ ვუთხრა: როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი გა-

ფედერაციის ხელმძღვანელი

დადგა და ახალი არჩევნები დანიშნა. მგონია, რომ ამ შემთხვევაშიც...

კობა ინასარიძე: ერთი კითხვა მიჩნდება...

გია ბაღაშვილი: მაპატიეთ, დავამთავრებ. თუკი ეს მოახერხა ქვეყნის ხელმძვანელმა — გადადგა და მერე ისევ მიიღო მონაწილეობა ახალ არჩევნებში, ეგებ უკეთესი გამოსავალი იყოს, რომ ფედერაციის არსებულმა ხელმძღვანელმაც მიიღოს იგივე გადაწყვეტილება და ახალ არჩევნებში თავადვე მიიღოს მონაწილეობა. და ეს იყოს გამჭვირვალე, მკაფიო არჩევნები, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაქრეს ეჭვები. ეს ჩემი პირადი აზრია.

კობა ინასარიძე: გეთანხმებით, რომ საზოგადოების აზრი საინტერესოა, მაგრამ აქ მეორე მხარეცაა...

ლევან ცაბაძე: წარმოიდგინეთ, სტუდიაში ზის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, თან პრეზიდენტობის გარდა მას სხვა დატვირთვაც აქვს, ნოდარ ახალკაცის შვილია. მეორე მხარეს კი მისი ოპოზიცია ლაპარაკობს და ნახევარი საქართველო იყო ამის მაყურებელი. ხალხს აინტერესებდა, ბოლო ბოლო, რა მოხდა, თუმცა...

გიორგი დარჯანია: თუმცა ვერაფერიც გავიგეთ...

გია ბაღაშვილი: ეს ტოკშოუს ფორმატია, რომ იყოს ცხარე საუბარი. უფრო მეტყველი ინტერაქტივის ის შედეგები იყო.

ნოდარ ახალკაცი: ვერ მივიღებ ამ არგუმენტაციას. ადამიანები თავს უფლებას აძლევენ ილაპარაკონ სხვისი სახელით. თურმე იმას ის დაეშუქრა და ამას რა მოჰყვებოდა... თუ ვინმეს რამე შეკითხვა აქვს, უნდა მივიდეს და ჰკითხოს გიორგი ნემსაძეს. ჩვენ რაც უნდა ვიმარჩიელოთ, გვინდოდეს ან არ გვინდოდეს, ამას ვერ გავაკეთებთ და იმის ახსნა, რომ მე ასე წარმომიდგენია, რა მოხდა...

გია ბაღაშვილი: თქვენ როგორ გგონიათ, ბატონო ნოდარ, რა მოხდა?

ნოდარ ახალკაცი: მე შემიძლია ვისაუბრო ფაქტებით, რომ ჩატარდა არჩევნები. მერე, როგორც თქვენ ბრძანეთ, იყო ნემსაძის განცხადება, რომელიც წერილობით შევიდა გენერალურ სამდივნოში...

გიორგი დარჯანია: თუმცა თქვენ იქამდე მიულოცეთ გიორგი ნემსაძეს...

ნოდარ ახალკაცი: რა თქმა უნდა. 17 მაისის არჩევნებში მონაწილეობის მიღება კი ჩემოვის არ იყო იოლი გადაწყვეტილება, მაგრამ ასე მოხდა და შემიძლია ვთქვა, რამ მიმაღებინა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ვერ ვილაპარაკებ, რატომ მიიღო ის გადაწყვეტილება სხვა კანდიდატმა. არც სხვამ უნდა ილაპარაკოს ამის თაობაზე, თუნდაც ადამიანური პატივისცემიდან გამომდინარე. და რაც შეეხება კონსოლიდაციას, არა მგონია, რომ ინტერაქტივი საზოგადოების განწყობას ასახავდეს, თანაც ჩვენ არავის ვემდურით...

გია ბაღაშვილი: თქვენ კი არ ემდურით, თქვენ მიმართ არ არის ნდობა.

ნოდარ ახალკაცი: თქვენი მხრიდან?

გია ბაღაშვილი: იმ 93 პროცენტის მხრიდან.

კობა ინასარიძე: სიმართლე ითქვას, ინტერაქტივის შედეგების სერიოზულად განსაზღვრა სასურველი არ არის. ხომ შეიძლება ხუთმა კაცმა დაამესიჯოს ბევრჯერ?!

გია ბაღაშვილი: ბატონო ნოდარ, ნათქვამია, თუ კაცს არ უნდა, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო.

ნოდარ ახალკაცი: ვერანაირი ინტერაქტივი ადეკვეტურად ვერ ასახავს რეალობას.

გია ბაღაშვილი: ინტერექტივი შეიძლება რეფერენდუმი არ არის, მაგრამ სისულელე რომ იყოს, სოციოლოგები მას არ მოიგონებდნენ.

ნოდარ ახალკაცი: მაშინ ასე გეტყვით: რიგგარეშე არჩევნების ჩატარების აუცილებლობა არ არსებობს.

გია ბაღაშვილი: ანუ თქვენ საქართველოს პრეზიდენტის კვალდაკვალ მოქმედებას არ აპირებთ...

ნოდარ ახალკაცი: კონსოლიდაცია აუცილებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ადამიანი ფედერაციაში დასაქმდეს, საშტატო სიაში ყველა ვერ ჩაჯდება. ამის არც პრეცედენტი არსებობს და არც შესაძლებლობა. თორემ კრიტიკასთან დაკავშირებით გეთანხმებით — კრიტიკა არსებობის იმისთვის, რომ რაღაც მიუთითო და პრობლემის მოგვარების გზა მიანიშნო. ანუ თქვენი კეთილი ნებაც არის საჭირო, მარტო მე ვერაფერს შევცვლი — ანუ რასაც მე ვსაუბრობ, პირველივე სიტყვაზე კი არ ჩამერთეთ, მოისმინეთ ჩემი აზრი და მერე მიპასუხეთ. ეს არის მიღებული ფორმა.

ლევან ცაბაძე: ერთმანეთის მოსმენა უნდა ვისწავლოთ.

ნოდარ ახალკაცი: რა თქმა უნდა. ძალიან დიდ პატივს ვცემ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას არჩევნებთან დაკავშირებით, მაგრამ მიმაჩნია, რომ როგორც არ შეიძლება აფხაზეთის და კოსოვოს თემების გაიგივება, ასე არ შეიძლება ჩვენი საკითხების შედარებაც. ეს ყველაფერი „იუმორინას“ ემსგავსება.

გია ბაღაშვილი: შეიძლება, მაგრამ „იუმორინა“ არც ერთ საკითხს, თუმც იუმორისტულად, გვერდს არ უვლის.

გიორგი დარჯანია: თემას რომ არ გავცდეთ, მოდით, მივუბრუნდეთ, მოედნებს, ბურთებს, ბუცებს...

ნოდარ ახალკაცი: ეს თურმე არ ყოფილა საინტერესო...

გიორგი დარჯანია: არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა აშენდეს სტადიონები, ბაზები და საბიუჯეტო კლუბები გადავიდნენ კერძო საკუთრებაში. როგორ წარმოგიდგენიათ, რა უნდა იყოს მომდევნო ნაბიჯი?

ნოდარ ახალკაცი: დღევანდელი გადასახედიდან ცოტა რთულია ამაზე მსჯელობა. როდესაც ეს ნაბიჯები გადაიდგმება და მომდევნო საფეხურზე ვიქნებით, მერე უფრო შეგვეძლება თქმა, რა უნდა იყოს მომდევნო ნაბიჯი. რა თქმა უნდა, ბევრი რამეა მოსაწესრიგებელი. პირველ რიგში კი, მაინც ბავშვთა ფეხბურთზე არის ყველაფერი დამოკიდებული. თუ პროფესიული ფეხბურთის მიმართ ინტერესი გაიზრდება, ბუნებრივად გაჩნდება ინტერესი იმ სფეროს მიმართ, სადაც უნდა გაიზარდნონ პროფესიონალი ფეხბურთელები და მეტი კერძო ინიციატივაც გაჩნდება ბავშვთა ფეხბურთში.

გიორგი დარჯანია: კობა, კიდევ რა არის საჭირო, რომ ქართული ფეხბურთი ავიდეს სასურველ სიმაღლეზე?

კობა ინასარიძე: კადრების მომზადება. როგორი დაფინანსებაც გინდა გქონდეს, კადრები თუ არ გყავს...

გიორგი დარჯანია: ბატონმა ნოდარმა საუბრის დასაწყისში 150 ლიცენზირებული მწვრთნელი ახსენა, მაგრამ ეს არის სტატისტიკა. რამდენად შეესაბამება მათი მომზადების დონე და რამდენად იძლევა მწვრთნელთა კურსები იმის საშუალებას, რომ ისინი მართლა მაღალკვალიფიციური მწვრთნელები გახდნენ?

ნოდარ ახალკაცი: ყველაფერი შედარებითია. ადრე საერთოდ არ ტარდებოდა ასეთი კურსები, მომავალში კი კიდევ უკეთესად ჩატარდება. ეს ძალიან სერიოზულ სამუშაოს და მონდომებას მოითხოვს. ჩვენ მწვრთნელებს ყველანაირ შანსს ვაძლევთ განსავითარებლად. ასევე საფუძველი ჩავუყარეთ გაცვლის პროგრამას, რათა მწვრთნელებს საშუალება ჰქონდეთ გამოცდილება მიიღონ წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში. მაგრამ აქაც პრობლემა ჩნდება, რაც ლევანმაც ახსენა — ენის ბარიერი.

კობა ინასარიძე: ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციას აქვს პრო-ლიცენზიის გაცემის უფლება. ჩვენთან როგორ არის საქმე? ჯერჯერობით უფრო დაბალი დონის ლიცენზიები გაიცემა...

ნოდარ ახალკაცი: ჩვენ გავცემთ C, B და A ლიცენზიებს. უკვე A ლიცენზიის მქონე 42 მწვრთნელი გვყავს.

ლევან ცაბაძე: აქამდე როგორ იყო — რომელიღაც გუნდში მივიდოდა ულიცენზიო მწვრთნელი და რასაც უნდა, აკეთებდა.

ნოდარ ახალკაცი: სწორედ ამის გამო შემოვიღეთ კრიტერიუმების მიხედვით ბავშვთა სკოლებისთვის ვარსკვლავების მინიჭება.

გიორგი დარჯანია: მოდით, ეს კრიტერიუმები ჩამოვთვალოთ...

ნოდარ ახალკაცი: ხუთი კრიტერიუმია: ინფრასტრუქტურული, სპორტული, ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ფინანსური. საბოლოოდ მივდივართ იქამდე, რომ სკოლა, რომელსაც არ ექნება ერთი ვარსკვლავი მაინც, ვერ მიიღებს მონაწილეობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ტურნირებში.

კობა ინასარიძე: აქამდე ყოფილა შემთხვევა, რომ სკოლა დაგიწუნებიათ?

ნოდარ ახალკაცი: არა, რადგან ჩვენ ჯერ ვმუშაობთ C ლიცენზიის მწვრთნელების მომზადებაზე — ორ თვეში 300 ლიცენზირებული მწვრთნელი გვეყოლება და მათი თანდათანობით ადაპტირება მოხდება. საბოლოოდ, აკრედიტირებული სკოლების სია გამოქვეყნდება ვებგვერდზე. მაგალითად, მეც მირეკავს ბევრი და მეკითხება, სად მივიყვანო ბავშვი. ის ადამიანი შეხედავს სიას და ნახავს, რომელი სკოლა რა კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. ისიც უკითხავთ, თქვენ ხომ არ დაკეტავთ სკოლასო. მე ვერ დავკეტავ, მაგრამ ვერც თვალს დავხუჭავ ისეთი სკოლებზე, რომლებიც მშობლის მოსატყუებელ ადგილად არის ქცეული. ასეთი სკოლები საფეხბურთო ცხოვრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

გიორგი დარჯანია: მიწევს ხოლმე სიარული პირველი და მეორე ლიგების მატჩებზეც და იქ სტადიონებზე მისვლა ძალიან მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს...

ნოდარი ახალკაცი: უმაღლეს ლიგაშია მძიმე მდგომარეობა და...

გიორგი დარჯანია: საქმე ის არის, რომ როდესაც ქართული საკლუბო ფეხბურთის პრობლემებზე ვლაპარაკობთ, როგორც წესი, მხოლოდ უმაღლეს ლიგას ვგულისხმობთ. არადა, დაბალ ლიგებში ბევრად უარესი მდგომარეობაა...

ნოდარ ახალკაცი: დაბალი ლიგებისადმი დაინტერესებას ჩვენ ვერ გავაჩენთ. გვეკითხებიან, რატომ დავიწყეთ სანაკრებო ფეხბურთიდან — წარმოუდგენელია, თუ ნაკრებმა არ მისცა ბიძგი და იმედი გულშემატკივარს, ისინი დაინტერესდნენ ეროვნული ჩემპიონატით. აი, სახურავიდან დაიწყეთ მშენებლობაო. მშენებლობა კი არა, სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა და ის შევაკეთეთ, რათა ქვედა სართულები არ დასველებულიყო.

ლევან ცაბაძე: ამ თემაზე ჩვენთანაც არის კამათი. პირამიდა ააშენეთ, ოღონდ უკუღმაო და მისთანები. თუ ნაკრები არ გყავს სათანადო დონის, შიდა ჩემპიონატის მოწყობა წყლის ნაყვაა. ამით ჩვენ განვავითარებთ სამოყვარულო ფეხბურთს, მაგრამ არა პროფესიულს.

კობა ინასარიძე: საფრანგეთში წარმატებას მიაღწია რაგბის ნაკრებმა და უცბათ გაჩნდა საყოველთაო დაინტერესება...

ნოდარ ახალკაცი: რა თქმა უნდა, ასეა. როგორ წარმოგიდგენიათ, შენი საფეხბურთო თუ სარაგბო ნაკრები მაჩანჩალა რომ იყოს, საერთაშორისო საზოგადოება დაინტერესდება შენი ჩემპიონატით? ხოლო პირველი და მეორე ლიგებისადმი დაინტერესება ავტომატურად მოხდება, თუკი უმაღლესი ლიგა აჩვენებს, რომ ამ სფეროში ჩართვა მომგებიანია. მერე ვინმე იფიქრებს, რომ აი, მე უმაღლეს ლიგაში მოსახვედრად მოკიდებ ხელს პირველი ან მეორე ლიგის კლუბს და ავიყვან უმაღლეს ლიგაში, სადაც თამაში უკვე მიმზიდველია. ასეა, მაგალითად, ბუნდესლიგა. ახლა გერმანიაში მესამე ბუნდესლიგას აკეთებენ, რადგან მეორე ბუნდესლიგაში მოხვედრა სატელევიზიო უფლებებს და ფულს ნიშნავს, რომელზეც შეგიძლია, აააწყო განვითარების გეგმები. ამ მხრივ, პირველ ნაბიჯებს ჩვენ წლეულს ვდგამთ — ვქმნით სატელევიზიო პროდუქტს, რომელიც არ იხდის 200 მილიონ ევროს სეზონზე სატელევიზიო უფლებების შეძენაში, პირიქით, ჩვენ იქით ვიხდით ათასობით დოლარს საეთერო დროში, მაგრამ ყველაფერს თავისი განვითარების საფეხურები აქვს. როცა ფედერაციაში მივედით, პირველად [illegible] ბაზე რომ მივდიოდით, გული [illegible] ისკდა — მახსოვს [illegible] ავით, ყველას [illegible] და ჩანთა ჰქონდა...

კობა ინასარიძე: [illegible] ავინ გეკამათებათ...

ლევან ცაბაძე: ფედერაციაში [illegible] საც მეტი რა მოეთხოვება? ფედერაციის მოვალეობაა, შემადგენლობა დააყენოს? ეს მწვრთნელის პროგატივაა. აი, ჩვენ ჩამოვიყვანეთ მწვრთნელი, რომელმაც თქვა, რომ მე გუნდის გასაკეთებლად მჭიდება ერთი წელი. ამ ხნის განმავლობაში მას არავინ შეეხება. შედეგის მიუხედავად...

კობა ინასარიძე: ბატონო ნოდარ, ტოპმოლერს ხომ არ უთქვამს, ქართველი თანაშემწეები არ მჭირდებაო?

ნოდარ ახალკაცი: არც იყო ასე, რომ არც ერთი ქართველი თანაშემწე არ ჰყოლოდა.

კობა ინასარიძე: ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს ვგულისხმობ — ხომ შეიძლებოდა, ახლა რაც გააკეთეთ, ორი წლის წინ გაგეკეთებინათ?

ნოდარ ახალკაცი: გელა შეყილაძე რომ დაინიშნა ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელად, ტოპმოლერის დამსახურებაა. საერთოდ, ქართველმა მწვრთნელებმა გერმანელების გვერდით იმუშავეს და გამოცდილება მიიღეს. ნახეს, რა სტანდარტია, როგორ უნდა იმუშაონ.

ბოლოს და ბოლოს, კორუფცია იყო ამ სფეროში და ამაზე თვალებს ნუ დავხუჭავთ! ფულს თუ არ იხდიდი, ნაკრებში არ გიწვევდნენ. ძალიან ძნელია, ქართველმა კაცმა, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, როცა ყველა ყველას იცნობს, ცდუნებას გაუძლოს... გერმანელები კი არ იყვნენ დავალებულები არავისგან და ახლა ის ძველი და მავნე სისტემა აღარ არსებობს!

ქართველი მწვრთნელის მიმართ, რომელიც ახლა იქ დანიშნა, პრეტენზია აღარავის უჩნდება, მე შენ კარგად გიცნობ და ჩემი შვილი აიყვანეო. ამით ნაკრების ქართველ მწვრთნელებს ათმაგად აქვთ საუშაო შემსუბუქებული, რადგან აღარავინ ურეკავს და თუ დაურეკეს, ეუბნება, ხომ იცი, როგორც ვმუშაობთ, შენს შვილს უთხარი. კარგად მოუმზადოს. დღესდღეობით 3085 ბავშვს ვაკვირდებით და ვინც დაიმსახურებს, ნაკრებში ყველა მოხვდება. ხოლო იმას, რომ შედეგი აისახოს ტაბლოზე, დრო უნდა...

რა არის, იცით, უბედურება? ფეხბურთელს უკვირს, მას უშუალოდ რომ აღარ უწევს ბარგის ჩაბარება — ყველაფერს მის მაგივრად რომ აკეთებენ და მას მხოლოდ თვითმფრინავში ჩასაჯდომ ტალონს აძლევენ. ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ უკვირთ, რადგან ნორმალურ ორგანიზაციას მიჩვეულნი არ იყვნენ. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გადავიდეთ განვითარების მომდევნო ეტაპებზე. ახლა დიდი ანგარებით ვეღარ გიგებენ, არადა, ადრე გალახულები გამოვდიოდით მოედნიდან. და როცა ესეც გაგიჯდება ვონებაში, იტყვი, რომ ახლა ჩემი დროა — მე უნდა მოვიგო!

გიორგი დარჯანია: კეთილი. მოდით, ჩვენი საუბარი ამით დავამთავროთ. მადლობას გიხდით სტუმრობისთვის.

უეფას თასი 2007-2008 მერვედფინალი. I მატჩები

ბაიერნი ხუთიანებს აგრძელებს

ევერტონის ექვსი ფლორენციაში დასრულდა

უეფას თასი 2007-2008
მერვედფინალი. პირველი მატჩები

ანდერლეხტი (ბელგია) 0:5 ბაიერნი (გერმანია)
0:1 ალთინთოფი (9), 0:2 ტონი (45), 0:3 პოდოლსკი (57), 0:4 კლოზე (67), 0:5 რიბერი (86)

ფიორენტინა (იტალია) 2:0 ევერტონი (ინგლისი)
1:0 კუჟმანოვიჩი (70), 2:0 მონტოლივო (81)

მარსელი (საფრანგეთი) 3:1 ზენიტი (რუსეთი)
1:0 ჯ. სისე (36), 2:0 ნიანგი (47), 3:0 ჯ. სისე (54), 3:1 არშავინი (82)

ბოლტონი (ინგლისი) 1:1 სპორტინგი (პორტუგალია)
1:0 მაკკენი (25), 1:1 ვუკჩევიჩი (69)

რეინჯერსი (შოტლანდია) 2:0 ვერდერი (გერმანია)
1:0 კუზენი (45), 2:0 დევისი (48)

ლევერკუზენი (გერმანია) 1:0 ჰამბურგი (გერმანია)
1:0 გეკასი (77)

ტოტენჰემი (ინგლისი) 0:1 პსვ (ჰოლანდია)
0:1 ფარფანი (34)

ბენფიკა (პორტუგალია) 1:2 ხეტაფე (ესპანეთი)
0:1 დე ლა რედი (25), 0:2 ერნანდესი (67), 1:2 მანტორაში (76)

მიუნხენის „ბაიერნმა" უეფას თასზე ზედიზედ მეორე მატჩში ხუთი გოლი შეაგდო — ჯერ მეთექვსმეტედფინალში შინ „აბერდინთან", ხუთშაბათს კი სტუმრად „ანდერლეხტსაც" იგივე დამართა. ბელგიელებსაც არაერთი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ კლასში სხვაობა აშკარა იყო.

ჰამით ალთინთოფმა საჯარიმოს გარედან ხარიხის ქვეშ შეჭედა ბურთი, ლუკა ტონიმ კი მახვილი კუთხიდან ძელსა და მეკარეს შუა გააძვრინა — 0:2. ამის მერე „ანდერლეხტს" ვასილევსკი გაუძევეს, რომელმაც ორ წუთში ამდენივე ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო.

მეორე ტაიმში შეცვლაზე ფრანკ რიბერი შევიდა და კაცნაკლული მეტოქე არ დაინდო. პოდოლსკის და კლოზეს საგოლე პასები მიართვა, ბოლოს კი საჯარიმო დარტყმით თვითონაც იხეირა.

„რეინჯერსმა" „ვერდერის" მეკარის შეცდომების წყალობით მოიგო. ტაიმი უგოლოდ იწურებოდა, როცა დანიელ კუზენმა 35 მეტრიდან გაისროლა. ტიმ ვიზემ ბურთი უცნაურად, საკუთარ კარში მოიგერია და მასპინძლები გაახარა. მეორე ნახევრის დასაწყისში ვიზე კიდევ ერთხელ შეცდა — ამჯერად ბურთი ვერ შეიმაგრა ხელებში და სტივენ დევისმა დასწრებაზე იყოჩაღა — 2:0. 87-ე წუთზე ლი მაკკალოხს ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდა, მაგრამ მცველმა აჯობა.

„რეინჯერსის" მწვრთნელი უოლტერ სმიტი შედეგით კმაყოფილი იყო: „ვერდერის" რამდენიმე თამაში DVD-ზე ვნახე, ძალიან ბევრ საგოლე მომენტს ქმნიდნენ. ამჯერად კი ვერაფერი შექმნეს, რადგან მეტოქე კარგად შევისწავლე".

ბუნდესლიგელთა დუელში „ლევერკუზენმა" თეოფანის გეკასის გოლით „ჰამბურგი" დაამარცხა. ჩემპიონატის ორ საამსეზონო მატჩში „ლევერკუზენს" „ჰამბურგისთვის" არ გაეტანა და უეფას თასზე მოახერხა. გეკასმა კუთხურიდან ბარნეტას ჩაწოდებული ბურთი კარში შეაბრძანა.

„ტოტენჰემმა" პსვ-სთან წააგო და ეს იყო გუნდისთვის 59-ე საევროთასო მატჩში მესამე საშინაო მარცხი. „ჰერტასგან" ნაყიდმა ჟილბერტომ „ტოტენჰემის" ძირითად შემადგენლობაში პირველად ითამაშა და მისი შეცდომის გამო გოლი გავიდა. ჟილბერტოს ბურთი ფარფანმა მოპარა და საჯარიმოს ხაზიდან გაიტანა.

„0:1 წაგება ძალიან ცუდი არაა და ვიმედოვნებ, რომ საპასუხო მატჩში უკეთ ვითამაშებთ — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა — პსვ-მ აშკარად გვაჯობა და თამაშის ხარისხი აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ". „ტოტენჰემმა" ლიგის თასის მოგების შემდეგ ორი დღე იქეიფა და კალაპოტიდან ამოვარდა. ტრიუმფის მერე გუნდმა „ბირმინგემთან" 1:4 წააგო, ახლა კი პსვ-სთან მარცხიც მიაყოლა.

მეორე პრემიერლიგელ „ევერტონს" „ფიორენტინამ" აჯობა. იტალიელებმა თერთმეტწუთიან მონაკვეთში ორი გოლი გაიტანეს, რითაც უეფას თასზე „ევერტონმა" ექვსმატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა. „ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ უშანსოდ არ ვართ და შინ ფანების მხარდაჭერით მეტოქეს ისეთ ფეხბურთს შევთავაზებთ, ჩვენ რომ „გვეკადრება" — განაცხადა ლივერპულელთა თავკაცმა დევიდ მოიესმა.

უეფას თასის დებიუტანტი „ხეტაფე" კი სახელოვან მეტოქეებს უშინაურდება და წინ მიიწევს. მიქაელ ლაუდრუპის გუნდმა ლისაბონში „ბენფიკას" სძლია, რომელსაც მეცხრე წუთზე ოსკარ კარდოსზო გაუძევეს. რუბენ დე ლა რედმა საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა და მცველისგან ოდნავ გეზნაცვალი ბურთი კარში შევარდა. მეორე ტაიმში დე ლა რედის პასით პაბლო ერნანდესმა იხეირა და სხვაობა ორამდე გაზარდა, მაგრამ კაცნაკლულმა მასპინძლებმა ბოლოს მანტორაშის გოლით უპასუხეს.

„მარსელმა" მეთექვსმეტედფინალიდან მოსკოვის „სპარტაკი" გაისტუმრა და მეორე რუსულ გუნდსაც იგივეს უპირებს. ჯიბრილ სისემ „ზენიტთან" დუბლი შეასრულა, მის გოლებს შორის კი ერთი მამადუ ნიანგმა ჩაამატა. სტუმრების თამაში შეცვლაზე შესულმა რადიმოვმა დაალაგა და არშავინმა მისი პასით ერთი გაქვითა, რითაც საპასუხო მატჩის წინ „ზენიტის" შანსი ოდნავ გააუმჯობესა.

ვაჟა ხუციშვილი

ჯეფერსონ ფარფანმა ჟილბერტოს ბურთი მოპარა და...

პელე და რიკარდო ტეიშეირა

დიდი ბრაზილიური ზავი

როდესაც დიდი, საერთო საქმეა საკეთებელი, ერთმანეთს შემომწყრალი თუ წაკიდებული ადამიანები ივიწყებენ პირად წყენას და სიძულვილს. ბრაზილიელმა მქუხარე საფეხბურთო სახელებმა, პელემ და რიკარდო ტეიშეირამ მიაფურთხეს მათ შორის გარბენილ შავ კატას, შერიგდნენ და ერთად გადაწყვიტეს იმ დიდი საქმის კეთება, რასაც მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზება ჰქვია. მოგეხსენებათ, ბრაზილია 2014 წლის მუნდიალს უმასპინძლებს და ფეხბურთის ლეგენდაც და ქვეყნის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტიც მიხვდნენ, რომ ბუტიაობის დრო დასრულდა. ისინი გვერდიგვერდ იდგნენ და ბრაზილიურ „გლობო ტელევიზიონს" ისე აძლევდნენ ინტერვიუს, თითქოს განუყრელი მეგობრები ყოფილიყვნენ.

„მჯერა, რომ შემიძლია, დავეხმარო ჩემს ქვეყანას მსოფლიოს ჩემპიონატის ღირსეულად მასპინძლობაში — ამბობს პელე — მინდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ნაწილი ვიყო".

„ჩვენ კიდევ ის ორი ფეხბურთელი მოვიწვიეთ, რომლებიც ჩემი პრეზიდენტობის ხანს ქვეყნის საფეხბურთო სახეს წარმოადგენდნენ — ეროვნული ნაკრების მწვრთნელი დუნგა და რომარიო — ამბობს ტეიშეირა — სამწუხაროდ, არ ვიცი, რომარიო სად არის".

ადრე თუ გვიან, ალბათ, რომარიოც გამოჩნდება და იქნებ არც თქვას უარი ორგანიზატორებისთვის ხელის ან სიტყვის შეშველებაზე. თუმც ტეიშეირა იმითაც კმაყოფილი იქნება, რომ მთავარი, ასე ვთქვათ, ოპზიციონერი და მოწინააღმდეგე პელე შეირიგა.

„გვსურს, რომ პელემ, როგორც ორგანიზატორმა, ბევრი იმოგზაუროს და წარუდგინოს ბრაზილია იმ 31 ქვეყანას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე" — ამბობს ტეიშეირა.

რამდენად მდგრადია ეს ზავი, ამას დრო გვიჩვენებს, მანამდე კი გავიხსენოთ, როდის და როგორ გადაბუტნენ ბრაზილიური ფეხბურთის თავი და ლეგენდა ერთმანეთს.

პელესა და ტეიშეირას შორის შავმა კატამ 1993 წელს გაირბინა, როცა პელემ მწარედ გააკრიტიკა ფიფას მმართველთა საბჭო, რადგან 1994 წლის ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრაზე არ დაუძახეს. ფიფას მაშინ მისი თანამემამულე და ტეიშეირას სიმამრი ჟოაო აველანჟი პრეზიდენტობდა. ისინი წლების განმავლობაში მწარედ მოიხსენიებდნენ ერთმანეთს და ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც 2006 წლის მუნდიალის მასპინძლის არჩევნებზე პელემ ტეიშეირასთან „ტკბილი" დამოკიდებულების გამო დაალალატა ბრაზილია და მხარი არ დაუჭირა თავისი ქვეყნის კანდიდატურას. შედეგად, არჩევნებზე ბრაზილიამ ერთი დღით ადრე იძულებით მოხსნა კანდიდატურა.

კოტე ყორშია

ლიბერტადორესის თასი 2008

III ჯგუფი. II ტური

ბოკა ხუნიორსი 3:0 ატლასი
1:0, 2:0 პალასიო (32, 80), 3:0 პალერმო (82)

ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	2	1	1	0	4:1	4
ატლასი (მექსიკა)	2	1	0	1	3:3	3
კოლო კოლო (ჩილე)	2	1	0	1	3:4	3
მარაკაიბო (ვენესუელა)	2	0	1	1	2:4	1

IV ჯგუფი. III ტური

ნასიონალი 3:0 ფლამენგო
1:0, 2:0 რ. მორალესი (40, 66), 3:0 ფორნაროლი (68)

ნასიონალი (ურუგვაი)	3	2	0	1	5:2	6
ფლამენგო (ბრაზილია)	3	1	1	1	2:4	4
სიენსიანო (პერუ)	2	1	0	1	3:3	3
კორონელ ბოლონეზი (პერუ)	2	0	1	1	0:1	1

VII ჯგუფი. II ტური

ატლეტიკო ნასიონალი 3:0 სპორტივო ლუკენო
1:0 რეი (22), 2:0 ვილიაგრა (43), 3:0 ვალენსია (79)

ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია)	2	1	1	0	4:1	4
სან პაულუ (ბრაზილია)	2	1	1	0	3:2	4
სპორტივო ლუკუენო (პარაგვაი)	2	1	0	1	2:4	3
აუდაქს იტალიანო (ჩილე)	2	0	0	2	2:4	0

მილანი ცვლილებებს გეგმავს

სილვიო ბერლუსკონი

იტალიურ „მილანს“ რომ გადახალისება სჭირდება, ეს სერია A-ში კლუბის დღევანდელი მდგომარეობიდანაც კარგად ჩანს და ლონდონის „არსენალთან“ წაგებულ მატჩშიც გამოჩნდა. სწორედ ამაზე ალაპარაკდა კლუბის პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი, რომელიც მზად არის, საკმაო ფული დახარჯოს, რათა „როსონერის“ შემადგენლობა გადაახალისოს.

პრესაში ყველაზე აქტიურად „მილანს“ ლიონელ ქარიმ ბენზემას, ბარსელონელ ჯანლუკა ძამბროტას, ფიორენტინელ სებასტიან ფრეის, ჩელსელ დიდიე დროგბასა და... ასევე ჩელსელ ანდრეი შევჩენკოს უკავშირებენ.

სხვათა შორის, ლონდონელთა რიგებში „მილანიდან“ გადასულმა უკრაინელმა ფორვარდმა ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ აღნიშნა, „როსონერიში“ სიამოვნებით დაბრუნდებოდიო. როგორც ჩანს, ბერლუსკონიც კვლავ ამის მომხრეა.

მოგეხსენებათ, შევჩენკო „მილანში“ ხელმძღვანელებსაც ძალიან უყვარდათ და ფანებსაც, იგი კლუბის ლიდერი იყო და წლების განმავლობაში ბრწყინავდა. თუმცა „ჩელსიში“ მისი კარიერა ვერ აეწყო.

„პერიოდულად ვუკავშირდები და ვისმენ ანდრეის ამბებს. ისიც ვიცი, რომ შევას ჩვენთან დაბრუნება სურს. მჯერა, „ჩელსის“ პრეზიდენტი რომან აბრამოვიჩი მას უპრობლემოდ მისცემს წასვლის უფლებას. ფანებმა სწორად უნდა შეაფასონ ვითარება და მიხვდებიან, რომ შევჩენკო ჩვენთვის საუკეთესო გამოსავალია. იგი ნამდვილი გოლეადორია და ახლა სწორად ასეთი ფეხბურთელი გვაკლია“ — განაცხადა დონ სილვიომ „ლა გაძეტა დელო სპორტთან“ საუბარში.

მომავლისკენ ოპტიმისტური პერსპექტივით იყურება „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანიც. „არსენალთან“ წაგების მერე, მთელი ღამე არ მეძინა, მაგრამ დილით ჩემპიონთა ლიგაში ბრწყინვალედ ჩატარებული ბოლო 6 სეზონისთვის ყველასთვის მადლობის გადახდა მომინდა. ახლა ყურების ჩამოყრის და უხასიათობის დრო არ არის. სერია A-ში 12 მატჩი დარჩა, რომლებიც ჩვენთვის ფინალის ტოლფასია და მოდუნების უფლება ალარ გვაქვს. ჩვენი პროგრამა მინიმუმი ანუ ოთხეულში შესვლა აუცილებლად უნდა შევასრულოთ. მომავალ სეზონებში კი იტალიის ჩემპიონატშიც და ევროსარბიელზეც ძველებურად წარმატებულად გავირკვებით. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ ორჯერ მოგებას, ეს თითქმის შეუძლებელია“.

გიორგი კაკაბაძე

XXIX ტური		
დღეს		
ბლეკბერნი	:	ფულჰემი
ლივერპული	:	ნიუკასლი
რედინგი	:	სიტი
ხვალ		
სანდერლენდი	:	ევერტონი
ტოტენჰემი	:	ვესტ ჰემი
უიგანი	:	არსენალი

ინგლისი
მილანიდან უიგანამდე

პრემიერლიგაში ნაკლული ტურია, რადგან „მანჩესტერი“ და „ჩელსი“ ასოციაციის თასის მეოთხედფინალში თამაშობენ. ალექს ფერგიუსონის გუნდი „პორტსმუთს“ უმასპინძლებს, ლონდონელები კი „ბარნსლის“ ეწვევიან.

რაკი „მანჩესტერი“ დღეს ტურს გამოტოვებს, „არსენალი“ „უიგანთან“ გამარჯვებას შეეცდება, რათა მდევართან დროებით მაინც გაზარდოს ქულათა სხვაობა. „მეთოფეებმა“ ჩემპიონატში ზედიზედ ორი ფრე ითამაშეს, მაგრამ უიგანში ხუთიდან ხუთი მატჩი მოიგეს და ალბათ ტრადიციას არ დაარღვევენ. მით უმეტეს, რომ „მილანთან“ გამარჯვებით გალაღებულნი არიან.

„ინგლისის ჩემპიონაობა თუ გვსურს, „მილანიდან“ „უიგანზე“ გადმორთვა უნდა შევძლოთ და კვლავ მოვიგოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს გუნდს ჩემპიონობა შეუძლია, ბიჭებს ჯილდოები სწყურიათ და საბრძოლველად მზად არიან“ — თქვა არსენ ვენგერმა, რომელსაც დღეს აბუ დიაბი და თეო უოლკოტი დააკლდებიან. გამორიცხული არაა, ტრავმამოშუშებული რობინ ვან პერსი ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდეს. ჰოლანდიელს ხუთი თვე გაუცდა, მაგრამ გამოკეთდა და გუნდს მილანშიც ახლდა.

მისავათებული „ნიუკასლი“ „ლივერპულს“ ესტუმრება და ფერნანდო ტორესმა ისე თუ ითამაშა, როგორც ოთხაშბათს „ვესტ ჰემთან“, „კაჭკაჭებს“ კარგი დღე არ დაადგებათ. „ლივერპულმა“ „ვესტ ჰემი“ გაანადგურა (4:0), ხოლო ესპანელმა ფორვარდმა სამი გოლი მიითვალა. 1946 წლის შემდეგ ვერცერთ ლივერპულელს ვერ მოეხერხებინა ზედიზედ ორ საშინაო მატჩში ჰეთ თრიქის შესრულება

ფერნანდო ტორესი: ორი ჰეთ თრიქი ბოლო ორ მატჩში

და ტორესი ისტორიაში შევიდა. აღსანიშნავია, რომ რაფაელ ბენიტესის გუნდი მადაზეა და ბოლო სამ შეხვედრაში ათი გოლი გაიტანა. თავის მხრივ ტორესმა საკუთარი ანგარიში 18 გოლამდე გაზარდა და ალბათ „ნიუკასლთანაც“ იყოჩაღებს, რადგან „კაჭკაჭებმა“ ექვს ტურში 17 გაუშვეს.

„ბევრი ფორვარდის გვერდით მითამაშია, მაგრამ ტორესი განსაკუთრებულია — შეიქო თანაგუნდელი დირკ კუიტმა — შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მას ხომ ურთულეს ჩემპიონატში გოლები იოლად გააქვს. ტორესივით სწრაფი და მოქნილი თავდამსხმელი იშვიათია. ასე თუ გაგრძელა, კრიშტიანუ რონალდუსაც დაეწევა“.

„ნიუკასლს“ ტრავმის გამო მეკარე შეი გივენი, ემრე, მარკ ვიდუკა და სტივენ კარი დააკლდებიან.

ლონდონურ დერბიში „ტოტენჰემი“ „ვესტ ჰემს“ დაეჯახება. „მამლებმა“ ხუთშაბათს უეფას თასზე შინ პსვ-სთან 0:1 წააგეს, ხოლო „ჩაქუჩები“ პრემიერლიგის ბოლო ორ ტურში ერთნაირი ანგარიშით (0:4) დამარცხდნენ.

მარკ ჰიუზის „ბლეკბერნი“ „ფულემს“ დაუხვდება, რომელმაც მიჯრით სამი თამაში ისე წაგო, რომ გოლი არ გაუტანია.

„სანდერლენდს“ მძიმე ბრძოლა ელის „ევერტონთან“, რადგან ლივერპულელთა წაუგებელმა სერიამ ექვს ტურს უწია და დევიდ მოიერის გუნდი კარგ ფორმაშია, თანაც ბოლო ორ გასვლით მატჩში გოლი არ გაუშვია. პირველ წრეში „ევერტონმა“ „სანდერლენდს“ 7:1 მოუგო და მასპინძლებს რევანში სწყურიათ. აღსანიშნავია, რომ სანდერლენდელებმა ზედიზედ ოთხი საშინაო შეხვედრა მოიგეს და გახუთებას ეცდებიან.

ვაჟა ხუციშვილი

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	არსენალი		2:2	1:0			1:1	2:0	1:0	3:1	2:0	2:1		3:0	2:0	3:2	1:1	2:0		2:1	5:0	28	19	8	1	57:21	65	12	3	0	32:9	39	7	5	1	25:12	26
2	მანჩესტერი			2:0		2:1		2:0	1:2	2:0		1:0	4:1	6:0	4:0	1:0	1:0		0:0	2:0	4:1	28	20	4	4	58:15	64	12	1	1	32:5	37	8	3	3	26:10	27
3	ჩელსი				0:0	1:1	4:4	0:0	6:0	1:0	1:0	2:0		2:1		2:0	3:2		1:0	0:0		27	17	7	3	42:17	58	8	5	0	23:8	29	9	2	3	19:9	29
4	ლივერპული	1:1	0:1	1:1			2:2			4:1	4:0	2:2	3:2		1:1	3:0	0:0	4:0		2:0	6:0	28	14	11	3	50:20	53	7	6	1	33:11	27	7	5	2	17:9	26
5	ევერტონი	1:4	0:1		1:2			1:1	1:0	3:1		0:0	2:0		2:1	7:1	3:1	2:0	1:0	3:0		28	16	5	7	46:24	53	9	2	3	27:12	29	7	3	4	19:12	24
6	ასტონ ვილა	1:2	1:4	2:0	1:2	2:0		1:1	1:1	1:3	1:0	2:1		4:1					3:1	2:1	2:0	28	13	9	6	51:36	48	8	2	4	24:17	26	5	7	2	27:19	22
7	ბლეკბერნი	1:1		0:1	0:0	0:0	0:4		1:0	0:1	0:1		1:1	3:1		1:0	2:1	4:1	4:2			28	12	9	7	37:34	45	6	4	4	17:14	22	6	5	3	20:20	23
8	სიტი	1:3	1:0		0:0	0:2	1:0	2:2			1:1		3:1	3:1	0:0	1:0	1:0	4:2	2:1		1:0	28	12	9	7	34:31	45	9	4	2	21:13	31	3	5	5	13:18	14
9	პორტსმუთი	0:0	1:1	1:1	0:0	0:0			0:0		0:0	0:1	0:1			1:0		3:1	7:4		3:1	28	12	8	8	38:29	44	4	7	2	16:10	19	8	1	6	22:19	25
10	ვესტ ჰემი	0:1	2:1	0:4	1:0	0:2			0:2			1:1	3:0		1:1	3:1	1:1	1:1	1:1	2:1		28	11	7	10	31:31	40	5	5	4	16:17	20	6	2	6	15:14	20
11	ტოტენჰემი	1:3	1:1			1:3	4:4	1:2	2:1						4:0	2:0	2:3		6:4	5:1	4:0	27	8	8	11	49:45	32	6	2	4	33:22	20	2	6	7	16:23	12
12	მიდლსბრო	2:1		0:2	1:1	0:2	0:3	1:2			1:2	1:1		2:2	1:0	2:2	2:0		0:1	1:0		28	7	8	13	25:42	29	4	4	6	14:19	16	3	4	7	11:23	13
13	ნიუკასლი	1:1	1:5		0:3	3:2	0:0	0:1	0:2	1:4	3:1	3:1	1:1		1:0		2:1	0:0			2:2	28	7	7	14	30:53	28	5	5	5	18:24	20	2	2	9	12:29	8
14	უიგანი			0:2	0:1	1:2	1:2	5:3	1:1	0:2	1:0		1:0	1:0		3:0				1:1	2:0	28	7	6	15	26:42	27	6	2	5	17:14	20	1	4	10	9:28	7
15	სანდერლენდი		0:4		0:2		1:1	1:2		2:0		1:0		1:1	2:0		2:0	3:1	2:1	1:1	1:0	28	7	6	15	26:46	27	7	3	3	17:13	24	0	3	12	9:33	3
16	ბირმინგემი	2:2	0:1	0:1			1:2			0:2	0:1	4:1	3:0		3:2	2:2		1:0	1:1	1:1	1:1	28	6	8	14	31:41	26	4	5	5	19:17	17	2	3	9	12:24	9
17	ბოლტონი		1:0	0:1	1:3	1:2	1:1	1:2		0:1		1:1	0:0	1:3	4:1		3:0		3:0	0:0	1:0	28	6	7	15	28:42	25	5	4	6	18:15	19	1	3	9	10:27	6
18	რედინგი	1:3	0:2	1:2	3:1	1:0	1:2			0:2	0:3		1:1	2:1	2:1	2:1		0:2			1:0	28	7	4	17	32:55	25	6	1	7	15:21	19	1	3	10	17:34	6
19	ფულემი	0:3	0:3	1:2			2:1	2:2	3:3	0:2	0:1	3:3	1:2	0:1	1:1			2:1	3:1		0:0	28	3	10	15	25:48	19	3	5	7	18:26	14	0	5	8	7:22	5
20	დერბი			0:2	1:2	0:2		1:2	1:1	2:2	0:5	0:3	0:1	1:0	0:1	0:0	1:2	1:1				28	1	7	20	13:57	10	1	4	9	8:24	7	0	3	11	5:33	3

მალდინი აღარ მიდის

ლეგენდარულმა პაოლო მალდინიმ მოულოდნელად განაცხადა, რომ შესაძლოა, ფეხბურთიდან წასვლა გადაიფიქროს და ერთი წელი მაინც, კიდევ ითამაშოს. „მილანის“ კაპიტანი ზაფხულში 40 წლის ხდება და მიმდინარე სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას აპირებდა, მაგრამ...

„ჯერაც მეტად ენერგიული ვარ. ადამიანი პრინციპული უნდა იყოს და თავის ნათქვამს ასრულებდეს, მაგრამ, ამავე დროს, აზრს მხოლოდ იდიოტები არ იცვლიან ხოლმე. ბოლო თვეებში მუხლი ისე აღარ მტკივა. კლუბი და ფანები კი მთხოვენ, რომ კიდევ ერთი წელი ვითამაშო. მინდა აღვნიშნო, რომ სამი თვის წინ გაცილებით უარეს მდგომარეობაში ვიყავი. ხუთი თვე კი ოპერაციის გამო გამიცდა. ახლა თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ და ისეთ პოზიციაზე ვახერხებ თამაშს, სადაც თავი დიდი ხანია, არ გამომიცდა“ — თქვა მილდინიმ.

ტრავმების გამო „მილანს“ დაცვაში პრობლემები ჰქონდა და ამიტომ მალდინიმ ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან“ მარცხენა გარემარბის პოზიციაზე ითამაშა. „როსონერიმ“ 0:2 კი წააგო, მაგრამ მისი კაპიტანი ცუდად ნამდვილად არ გამოიყურებოდა. იგი შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა და დაცვაშიც საიმედო იყო.

„ეს ძალიან მტკივნეული მარცხი გახლდათ — ამბობს მალდინი — თუმცა წაგებასთან შეუგება უფრო ადვილია, როცა ბევრი რამისთვის გაქვს მიღწეული. ვფიქრობ, ჩვენი ფანები გაიგებენ, რასაც ვამბობ.

„არსენალმა“ მოგება დაიმსახურა. ლონდონელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, სწრაფად და ლამაზად. ჩემპიონთა ლიგამ პირადად მე ბევრი რამ მომცა. ყველაზე ტკბილი მისი პირველად მოგება გახლდათ და ასევე ცხრა წლის მერე გამარჯვება, როცა თასი უკვე კაპიტნის რანგში აღვმართე“.

„მეთოფეებთან“ მილანელების მარცხის მერე ბევრი ამბობს, რომ კლუბში ძირეული ცვლილებები და შემადგენლობის სერიოზული გადახალისებაა საჭირო, თუმცა „როსონერის“ კაპიტანი ამ აზრს ბოლომდე არ იზიარებს.

პაოლო მალდინი: „არა მგონია, ეს აუცილებელი იყოს. უბრალოდ, სათანადო მოთამაშეები გვჭირდება, ოღონდ ხარისხის და არა ფასის მიხედვით შერჩეული. ბოლო 12 თვის განმავლობაში სწორედ ჩვენმა ახლანდელმა შემადგენლობამ მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერ-თასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. მაგალითად, ბოლო 20 წელიწადში ჩვენი მიღწევები „არსენალისას“ რომ შევადაროთ, უდიდეს სხვაობას მივიღებთ“.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში „მილანი“ ევროპის მართლაც ყველაზე ტიტულოვანი და წარმატებული კლუბია. „როსონერის“ ამ „ოქროს ეპოქის“ ერთ-ერთი მთავარი გმირი კი სწორედ მალდინია.

„მილანიდან“ წასვლაზე არასოდეს მიფიქრია. საფეხბურთო თვალსაზრისით, აქ დავიბადე და ვითარების შეცვლის სურვილი არასოდეს მქონია. წარსულში „ჩელსისგან“ მქონდა წინადადება. ძალიან ცუდ სეზონს ვატარებდი, მაგრამ ჩემს თავს რამდენიმე კითხვა რომ დავუსვი, დარჩენა უყოყმანოდ გადავწყვიტე“ — განაცხადა მალდინიმ.

დაბოლოს, კაცს რომელსაც უკვე ათასზე მეტი ოფიციალური მატჩი აქვს ჩატარებული და იტალიის ნაკრების მაისურა ყველაზე მეტჯერ მოურგია, ჰკითხეს, ევრო 2008-ზე „სკუადრა აძურასთან“ ერთად ხომ არ ითამაშებდითო? „არა, გმადლობთ“ — იყო პასუხი.

გიორგი ძაძაგაძე

XXIII ტური

გუშინ

დორტმუნდი	:	ჰერტა

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

დღეს

არმინია	:	შალკე
შტუტგარტი	:	ვერდერი
აინტრახტი	:	ბოხუმი
ვოლფსბურგი	:	კოტბუსი
ბაიერნი	:	კარლსრუე
დუისბურგი	:	ჰანზა

ხვალ

ნიურნბერგი	:	ჰამბურგი
ლევერკუზენი	:	ჰანოვერი

ბუნდესლიგაში ზედიზედ სამი მატჩის წამგები, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტი „შალკე“ მარცხიანი სერიის შეწყვეტას „არმინიასთან“ შეეცდება. „ხუმარებმა“ ბილეფელდელებს ბოლო შვიდი შეხვედრიდან ყველა მოუგეს და ალბათ დღესაც შეძლებენ მეტოქის დამარცხებას. „არმინიას“ მეორე წრეში ჯერ თამაში არ მოუგა — ხუთიდან ოთხი წააგო და ერთი ფრედ დასრულა.

„შალკეს“ ტრავმის გამო ზე რობერტო და ზლატან ბაირამოვიჩი ვერ დაეხმარებიან, ფაბიან ერნსტი და რაფინია კი დისკვალიფიცირებულნი არიან. „კიკერის“ ვერსიით, ლევან კობიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იქნება, შეტევაში კი კურანი და ჰალილ ალთინთოფი ითამაშებენ.

გერმანია

ოლივერ კანის ბოლო კარლსრუე

ცოტა მოფერიანებული „შტუტგარტი“ ბრემენის „ვერდერს“ უმასპინძლებს და ტურის მთავარი მატჩიც ეს უნდა გამოვიდეს. არმინ ფეეს გუნდს „კოტბუსთან“ წინა ტურის შეხვედრა გაუცდა და მეტოქეზე უფრო სადადაა. „ვერდერმა“ კი ხუთშაბათს გლაზგოში „რეინჯერსთან“ 0:2 წააგო. „შტუტგარტმა“ ბუნდესლიგის ბოლო ორ ტურში ორივე მატჩი მოიგო, ხოლო „ვერდერი“ ექვსიდან სამში დამარცხდა. მასპინძლებს მხოლოდ სამი ხედირა დააკლდებათ, სტუმრებს — დიეგო, პიერ ვომე და ტორსტენ ფრინგსი.

„ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანისთვის „კარლსრუესთან“ მატჩი განსაკუთრებული იქნება, რადგან ამ გუნდში დაიწყო კარიერა, რომელსაც სამ თვეში დასრულებს. „კარლსრუეში“ პირველი წრეც ყოჩაღად ჩაატარა და არც მეორეში აპირებს უკან დახევას — ერთი კვირის წინ „ვოლფსბურგს“ 3:1 მოუგო და მეხუთე ადგილს უწია. ალექსანდრე იაშვილი „ბაიერნთანაც“ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა ხუთშაბათს „ანდერლეხტი“ გაანადგურა (5:0), თან ისე, რომ მწვრთნელმა კლოზე, ტონი და რიბერი მხოლოდ თითო-თითო ტაიმი ათამაშა, ოლივერ კანი კი სრულად დაასვენა. ხსენებული ფეხბურთელები დღეს „კარსლრუესთან“ სასტარტოში იქნებიან. „ბაიერნს“ დისკვალიფიცირებული მარკ ვან ბომელი და ტრავმირებული ზე რობერტო დააკლდება.

ბოლოადგილოსანი „დუისბურგი“ შინ მესამე მატჩის მოგებას ეცდება, რადგან თავისნაირ დაჩაჩანაკებულ „ჰანზას“ ეთამაშება. „დუისბურგს“ მეორე წრეში შინ არ უმარჯვია, „ჰანზას“ კი სტუმრად ყველაზე ნაკლები (6) გოლი აქვს გატანილი.

„ვოლფსბურგის“ ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია წინა ტურში „კარლსრუესთან“ შეწყდა, მაგრამ „მგლები“ დღეს ალბათ სამ ქულას მიითვლიან „კოტბუსთან“, ერთადერთ ბუნდესლიგელთან, რომელმაც სტუმრად მოგების გემო არ იცის.

ზედიზედ ორი მატჩის მომგები „ბოხუმი“ ფრანკფურტში ჩაბრძანდება, სადაც შარშან „აინტრახტი“ 3:0 დაამარცხა. ბოხუმელებმა ჩემპიონატში „ჰანოვერს“ და „ლევერკუზენს“ სძლიეს და კარგ ხასიათზე არიან.

„ლევერკუზენი“ და „ჰამბურგი“ ხუთშაბათს ერთმანეთს უეფას თასზე შეხვდნენ, ხვალ კი ჩემპიონატში პირველი „ჰანოვერს“ დაუხვდება, ხოლო მეორე „ნიურნბერგს“ ეწვევა. „ფარმაცევტებს“ „ჰანოვერისთვის“ უკვე ორი სეზონია, გოლი არ გაუტანიათ და ნავსი უნდა გატეხონ. რაც შეეხება „ჰამბურგს“, „ნიურნბერგთან“ ბოლო თერთმეტ მატჩში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

ვაჟა ხუციშვილი

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	ბაიერნი		1:1	1:1			1:1	0:0	3:0		2:1				3:0		3:0	5:0	0:0	22	13	8	1	39:11	47	5	5	0	19:4	20	8	3	1	20:7	27
2	ვერდერი	0:4		2:1	5:2	4:0		2:1		4:1		3:2	1:2	2:0	1:0	8:1	2:0			22	13	4	5	48:28	43	10	0	2	34:14	30	3	4	3	14:14	13
3	ჰამბურგი	1:1			1:0			4:1	1:1	4:1	2:2	2:1	3:0		2:0		1:0	0:0		22	11	8	3	34:17	41	7	4	0	21:7	25	4	4	3	13:10	16
4	ლევერკუზენი	0:1		1:1		3:0	1:0						2:0	2:2	3:0	4:0		0:0	4:1	22	11	5	6	39:23	38	6	3	1	20:5	21	5	2	5	19:18	17
5	კარლსრუე	1:4		1:1	2:2				1:2	1:0	3:1	2:1		3:1		0:0	2:0		1:0	22	10	6	6	29:29	36	6	3	2	17:12	21	4	3	4	12:17	15
6	შალკე	0:1	1:1	1:1	1:1	0:2				4:1	1:2	1:0	1:0	4:1		3:0	2:1			22	9	8	5	34:24	35	6	3	3	19:11	21	3	5	2	15:13	14
7	აინტრახტი		1:0	2:1	2:1	0:1	2:2		0:0	1:4		1:0			1:0	2:1				22	8	8	6	26:29	32	6	2	2	12:10	20	2	6	4	14:19	12
8	ჰანოვერი	0:3	4:3	0:1	0:3	2:2	2:3				2:2		3:2	2:1			2:1		2:1	22	9	5	8	33:37	32	5	2	4	19:22	17	4	3	4	14:15	15
9	შტუტგარტი	3:1			1:0	3:1	2:2		0:2		3:1	1:3	1:0	1:2				3:0	1:0	21	10	1	10	32:35	31	7	1	3	19:12	22	3	0	7	13:23	9
10	ვოლფსბურგი		1:1		1:2	1:2	1:1	2:2				0:0		4:0	1:0	1:3	3:1		2:1	22	8	6	8	36:35	30	4	4	3	17:13	16	4	2	5	19:22	14
11	ჰერტა	0:0			0:3			0:3	1:0	3:1	2:1		2:0	3:2	1:3	1:0		0:0	2:0	22	9	3	10	25:28	30	7	2	3	15:13	23	2	1	7	10:15	7
12	ბოხუმი	1:2	2:2	2:1	2:0	2:2		0:0	2:1		5:3					3:0	3:3	3:3		22	8	5	9	34:35	29	5	5	1	25:17	20	3	0	8	9:18	9
13	დორტმუნდი	0:0	3:0	0:3			2:3	1:1					2:1		1:0	6:1		3:0	1:3	22	8	4	10	34:38	28	5	2	3	19:12	17	3	2	7	15:26	11
14	ჰანზა	1:2				0:0	1:1	1:0	0:3	2:1			2:0	0:1		1:1	1:2	3:2	2:0	22	6	4	12	20:31	22	5	3	4	14:13	18	1	1	8	6:18	4
15	არმინია	0:1		0:1				2:2	0:2	2:0	0:1	2:0			4:2		3:1	1:1	0:2	22	5	4	13	21:45	19	4	2	5	14:13	14	1	2	8	7:32	5
16	ნიურნბერგი		0:1		1:2	0:2		5:1	2:2	0:1		2:1		2:0	1:1			1:1		22	4	5	13	24:36	17	3	3	4	14:12	12	1	2	9	10:24	5
17	კოტბუსი		0:2		2:3	2:0	1:0	2:2	5:1	:	1:2		1:2	0:2			1:1		1:2	21	3	8	10	23:36	17	3	2	6	16:17	11	0	6	4	7:19	6
18	დუისბურგი		1:3	0:1			0:2	0:1		2:3	1:3	1:2	0:2	3:3		3:0	1:0			22	5	2	15	22:36	17	2	1	8	12:20	7	3	1	7	10:16	10

რობერტო მანჩინი

მანჩინის ერა და ელენიო ერერა

მილანის „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ კლუბის მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი, „ნერაძურის“ ისტორიაში საუკეთესო თაკაცს, ელენიო ერერას შეადარა.

„მანჩინი ძალიან ნიჭიერია და ისეთი თვისებები აქვს, რომელთა წყალობითაც შეუძლია ამ პოსტზე ძალიან დიდი ხანი დარჩეს. რობერტო კლუბში ელენიო ერერას დარად, რევოლუციონერივით შემოიჭრა. რობერტო საოცრად მოტივირებულია და თავის ასაკთან შედარებით, უკვე სკმაო გამოცდილება აქვს და მრავალ წარმატებასაც მიაღწია. ძალიან მომწონს მისი მუშაობა და მანჩინისთან ერთად ყოველთვის იმის იმედი მაქვს, რომ „ინტერი“ მოიგებს“ — აღნიშნა 62 წლის მორატიმ.

შეგახსენებთ, რომ 60-იან წლებში ერერას ხელში „ინტერმა“ მიჯრით ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, მას მერე გუნდს ამ ტურნირში არც უმარჯვია. ერერას ანგარიშზეა სამი სკუდეტოც.

„ნერაძურიში“ 2004 წელს მისულმა მანჩინიმ კლუბთან ერთად უკვე მოიპოვა ორი სკუდეტო (მოგეხსენებათ, აქედან ერთი „ნერაძურის“ კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ გადასცეს), მაგრამ ევროსარბიელზე „მაწოს“ ჯერაც ვერაფერი მოუნდირებია.

11 მარტს მილანელები ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩში „ლივერპულს“ მასპინძლობენ. როგორც იცით, პირველი შეხვედრა ინგლისელებმა 2:0 მოიგეს და ისინი წყვილის ფავორიტებად ითვლებიან, მაგრამ მორატის ისტორიის და თავისი გუნდის იმედი აქვს.

1965 წელს „ინტერმა“ „ლივერპულთან“ სტუმრად 1:3 წააგო, მაგრამ „სან სიროზე“ 3:0 იმარჯვა და საბოლოოდ მიჯრით მეორედ გახდა ჩემპიონთა თასის მფლობელი.

მორატიც ამ ფაქტს ხშირად ახსენებს, რითაც „ინტერის“ მწვრთნელს, ფეხბურთელებსა და ფანებს ამხნევებს. მისი აზრით, კლუბს დამატებით მუხტს ასწლეულის აღნიშვნაც შემატებს.

„რაფაელ ბენიტესის „ლივერპული“ ევროსარბიელზე ძალიან გაძიცდილი და ძლიერი გუნდია, მაგრამ მერწმუნეთ, „ინტერი“ იმსახურებს ხალხის ნდობასა და იმედს. ასწლეულის აღნიშვნა დამატებით ენერგიებსა და ემოციებს შეგვმატებს. მჯერა, შემდეგ ეტაპზე გასვლა შეგვიძლია და ბოლომდე ვიბრძოლებთ“ — დასძინა მორატიმ.

ოპტიმისტური განწყობა აქვს „ინტერის“ არგენტინელ ფორვარდ ერნან კრესპოსაც: „არავინ უარყოფს, რომ ახლა სხვადასხვა მიზეზთა გამო გარკვეული პრობლემები გვაქვს, მაგრამ გვჯერა, რომ „ლივერპულის“ სასურველი ანგარიშით დამარცხება შეგვიძლია — ეს ევერესტზე ასვლასავით იქნება“.

ძოკი კანდელაკი

XXVII ტური

დღეს

ინტერი	:	რეჯინა
პალერმო	:	უდინეზე

ხვალ

ტორინო	:	ატალანტა
კატანია	:	კალიარი
სიენა	:	ფიორენტინა
ჯენოა	:	იუვენტუსი
ლაციო	:	ლივორნო
ემპოლი	:	მილანი
ნაპოლი	:	რომა
პარმა	:	სამპდორია

ITALIA

გაჯავრებული ინტერი

შესაძლოა, ცენტრალური მატჩი არ დავარქვათ, მაგრამ 27-ე ტურზე აუცილებლად „სიენა“ — „ფიორენტინას“ მატჩით უნდა დავიწყოთ საუბარი. რომელი გუნდი რომელ ადგილზეც უნდა იყოს, ეს ტოსკანური დერბი ყოველთვის განსაკუთრებულად დაძაბული და მნიშვნელოვანია.

„იების“ თავკაც ჩეზარე პრანდელის არ ეყოლება ტრავმირებული ადრიან მუტუ და დისკვალიფიცირებული პაბლო დანიელ ოსვალდო. ფრანკო სემიოლისა და ფაბიო ლივერანის თამაში სათუოა.

„სიენა“ ოთხმატჩიანი დაუმარცხებელი სერიით იწონებს თავს. მის მწვრთნელს მარიო ბერეტას დისკვალიფიცირებული ვალერიო ბერტოტოს იმედი არ უნდა ჰქონდეს. სავარაუდოდ, ვერ ითამაშებენ სიმონე ვერგასოლა, ლუკას იაროლიმი, დანიელე გალოპა და ტომას ლოკატელი.

ლიდერ „ინტერს“ სამი მატჩია, არ მოუგია და ფანები ცოტა არ იყოს უკმაყოფილონი არიან. ასე რომ, „ნერაძური“ მთელი ჯავრის ყრას ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „რეჯინაზე“ გეგმავს. მით უმეტეს, რომ მილანელთა ბანაკში სასიხარულო ამბებია — ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ხულიო რიკარდო კრუზი თამაშს შეძლებენ.

„ინტერის“ ეს ორი ფორვარდი მიმდინარე სეზონში ჩინებულად გამოიყურება — მათ ჯამურ ანგარიშზე 24 გოლია. თუმცა თებერვლის დასაწყისში „კატანიასთან“ მოგების მერე, ტრავმების გამო არცერთს არ უთამაშია. „რეჯინასთან“ ისინი ალბათ სულ მცირე ერთ ტაიმს მაინც ჩაატარებენ.

სხვათა შორის, ახლახან „იბრაკადაბრას“ გერლფრენდ ელენს მისგან მეორე შვილი შეეძინა.

„ნერაძური“ ვალტერ სამუელს, ოლივიე დაკურს, კრისტიან კივუსა და ივან კორდობას მოისაკლისებს. რენცო ულივიერის ნაცვლად რეჯოკალაბრიელთა მწვრთნელად დანიშნულ ნევიო ორლანდის კი საბრძოლო შემადგენლობა ჰყავს.

ძალიან საინტერესო მატჩია „სტადიო სან პაოლოზე“, სადაც ურთიერთობას ძველი მეტოქეები, „ნაპოლი“ და „რომა“ გაარკვევენ. ეს 137-ე „დერბი დელ სოლეა“. პირველი წრის შეხვედრა „სტადიო ოლიმპიკოზე“ შესანიშნავი სპექტაკლი გამოდგა და 4:4 დასრულდა.

ნეაპოლში თამაში ადვილი რომ არ არის, წინა კვირასაც დადასტურდა — იქ 31 მატჩიანი წაუგებელი სერია „ინტერს“ შეუწყდა. ასე რომ, „რომას“, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი მადრიდის „რეალის“ ძლევის შემდეგ ფრთაშესხმულია და თითქმის არავინ აკლია, უძძიმესი ბრძოლა ელის.

ისიცაა აღსანიშნავი, რომ „გლადიატორებმა“ „ნაპოლისთან“ გასვლაზე ბოლოს შორეულ 1997 წლის მაისში წააგეს.

სამმატჩიანი მოუგებელი სერიის შემდეგ „იუვენტუსის“ თავკაცი კლაუდიო რანიერი კრიტიკოსების გაჩუმებას „ჯენოას“ დამარცხებით შეეცდება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ტურინელები დღეს არცთუ კარგ ფორმაში არიან, ხოლო გენუელები მშვენივრად ირჯებიან და თან საკუთარ მოედანზე უწევთ თამაში, დიდი შანსია, რანიერის მაკრიტიკებლებს ამის ახალი საბაბი მიეცეთ.

„ბებერ ქალბატონს“ პაველ ნედვედი, მარკო მარკიონი და ჟორჟე ანდრადე არ ეყოლება. მასპინძელებს კი ივან ჯურიჩი დააკლდებათ.

ისიც სათქმელია, რომ ჯენოელმა მარკო ბორიელომ ბომბარდირთა დავაში ახლახან გადაასწრო იუვენტუსელ დავიდ ტრეზეგეს, ვისაც იანვრის ბოლოს მერე გოლი არ გაუტანია... მათი დუელიც საინტერესო იქნება.

„კრიზისში არ ვართ, უბრალოდ, „რომასთან“ მოგების მერე ცოტა კონცენტრაცია დავკარგეთ, რაც არ უნდა დაგვეშვა. ახლა ძველებურად თამაში და შრომა უნდა გავაგრძელოთ. წინ მძიმე ბრძოლებია, მაგრამ ჩვენ მიზნის მიღწევა ძალგვიძს“ — თქვა „იუვეს“ მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა.

„ბიანკონერინდან“ „ჯეოაში“ განათხოვრებული დომენიკო კრიშიტო და ექსიუვენტუსელი მარკო დი ვაიო კი ტურინელებზე კბილებს ილესავენ და შურისძიებას კარგი თამაშით გეგმავენ.

ჩემპიონთა ლიგაში „არსენალთან“ მარცხის შემდეგ, „მილანი“, ცხადია, მთლიანად სერია A-ზე გადაერთვება. მით უმეტეს, რომ გუნდი ოთხეულს 4 ქულით ჩამორჩება და დარჩენილ მატჩებში მხოლოდ მოგებებზე უნდა იფიქროს.

„ემპოლის“ წინააღმდეგ კარლო ანჩელოტის დისკვალიფიცირებული ჯენარო გატუზო არ ეყოლება. ალბათ ვერ ითამაშებენ კლარენს ზეედორფი, ალესანდრო ნესტა, მარკოს კაფუ და სერჟინიო. რონალდოს ტრავმის ამბავი კარგად მოგეხსენებათ.

ტოსკანელებს დაცვაში უჭირთ — დავიდე მორო, ლინო მარძორატი და ანდრეა რაგი არ იქნებიან.

საინტერესოა, რომ ბოლო პერიოდში ორიჯე ამ კლუბის მწვრთნელების მოხსნაზე აქტიურად საუბრობენ. ცხადია, უფრო რთულად ალბერტო მალეზანის საქმეა. თუ „ემპოლიმ“ ეს მატჩი წააგო, შესაძლოა იგი მყისვე უმუშევარი დარჩეს.

გიორგი კაკაბაძე

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	ინტერი		1:1			2:1	1:1	3:0	4:1		2:1	2:1	3:0	4:0		2:0	3:2	1:0	2:0			26	18	7	1	50:16	61	11	2	0	30:8	35	7	5	1	20:8	26
2	რომა	1:4		2:2	1:0		2:1	2:0		1:0		4:4	3:2		3:0		4:0		2:0	2:0	2:0	26	16	7	3	46:24	55	10	2	1	29:13	32	6	5	2	17:11	23
3	იუვენტუსი	1:1	1:0		2:3		0:1	0:0	1:0	5:0	1:0			0:0	2:0	5:1		3:0		4:0	1:1	26	13	9	4	46:24	48	8	4	2	26:7	28	5	5	2	20:17	20
4	ფიორენტინა	0:2	2:2	1:1		0:1	1:2				2:2	1:0		2:1	3:0	1:0		3:1	2:1		5:1	26	13	8	5	40:25	47	7	3	3	23:14	24	6	5	2	17:11	23
5	მილანი		0:1	0:0	1:1				2:0	2:1		5:2	1:1	0:0	1:0	1:1	1:1	0:1	1:1			26	11	10	5	38:20	43	4	7	2	15:10	19	7	3	3	23:10	24
6	უდინეზე	0:0		1:2		0:1		3:2	3:5	1:1	2:0	0:5		2:1	2:0		2:1	2:2		2:0		26	11	6	9	33:35	39	6	3	4	20:20	21	5	3	5	13:15	16
7	სამპდორია	1:1			2:2	0:5			0:0	3:0	3:0	2:0	0:0	2:2	1:0		3:0	3:0		3:0		26	10	6	10	34:33	36	7	5	1	23:10	26	3	1	9	11:23	10
8	ჯენოა		0:1		0:0	0:3	3:2	0:1		3:3	2:1	2:0			1:3	1:1	1:0		2:1		2:0	26	9	8	9	31:35	35	6	3	4	17:16	21	3	5	5	14:19	14
9	პალერმო	0:0	0:2		2:0	2:1					2:1	2:2	1:1	2:3	1:0	1:1	2:0			1:1	2:1	26	9	8	9	34:40	35	6	5	2	18:13	23	3	3	7	16:27	12
10	ატალანტა		1:2		2:2	2:1	0:0	4:1		1:3		5:1	2:1	2:2	2:2		2:0			2:2	2:2	26	8	10	8	40:40	34	5	6	2	27:19	21	3	4	6	13:21	13
11	ნაპოლი	1:0		3:1			3:1	2:0	1:2				2:2	1:1		1:0	1:0	1:3	2:0	1:1	0:2	26	9	6	11	37:40	33	7	3	3	19:13	24	2	3	8	18:27	9
12	ლაციო			2:3	0:1	1:5	0:1	2:1	1:2		3:0			2:2			1:0	0:0	2:0	1:0	3:1	26	7	9	10	29:33	30	6	2	5	18:16	20	1	7	5	11:17	10
13	ტორინო		0:0	0:1				1:0	1:1	3:1			0:0		1:1	1:2	4:4		1:1	2:2	2:0	26	4	16	6	29:32	28	3	7	2	16:13	16	1	9	4	13:19	12
14	სიენა	2:3	3:0			1:1		1:2			1:1	1:1	1:1	0:0		2:3		3:0	1:1	0:0	1:0	26	6	10	10	30:34	28	3	7	3	17:13	16	3	3	7	13:21	12
15	ლივორნო	2:2	1:1	1:3	0:3		0:0	3:1	1:1	2:4	1:1	1:2	0:1					1:0	1:0			26	6	8	12	27:39	26	3	5	5	14:19	14	3	3	7	13:20	12
16	პარმა		0:3	2:2	1:2	0:0	2:0				2:3			2:0	2:2	3:2		1:0	2:2	3:0	1:1	26	5	10	11	31:41	25	5	5	3	21:17	20	0	5	8	10:24	5
17	ემპოლი	0:2	2:2		0:2				1:1	3:1	0:1	0:0	1:0	0:0	0:2				2:0	1:1	4:1	26	6	7	13	21:34	25	4	5	4	14:13	17	2	2	9	7:21	8
18	კატანია	0:2		1:1	0:1	1:1	2:0	2:0	0:0	3:1	1:2					1:0	0:0	1:0				26	5	9	12	21:32	24	5	4	3	12:8	19	0	5	9	9:24	5
19	რეჯინა	0:1	0:2	2:1	0:0	0:1	1:3		2:0	0:0	1:1		1:1	1:3		1:3			3:1		2:0	26	4	10	12	21:39	22	4	4	6	14:17	16	0	6	6	7:22	6
20	კალიარი	0:2		2:3		1:2	0:1	0:3	2:1	0:1		2:1	1:0		1:0	0:0	1:1		1:1			26	5	6	15	21:43	21	4	3	6	11:16	15	1	3	9	10:27	6

კლემენტეს ირანი მურსია

ესპანურ „მურსიას“ ლუკას ალკარასის ნაცვლად ხავიერ კლემენტე უთავკაცებს და, ცხადია, მისი მიზანი კლუბის უმაღლეს ლიგაში როგორმე დატოვება იქნება.

„ძალიან რთული და მტკივნეული ასეთი გადაწყვეტილებების მიღება. მით უმეტეს, რომ ალკარასი თავდაუზოგავად მუშაობდა, მაგრამ მთავარი შედეგია. კლემენტე ნამდვილი პროფესიონალი და ნიჭიერი მწვრთელია გამარჯვებულის მენტალიტეტით. მან ფეხბურთი ხუთი თითივით იცის. ჩვენს კლუბსაც მებრძოლი ხასიათი აქვს და მისი დარი სპეციალისტი სჭირდება“ — თქვა „მურსიას“ პრეზიდენტმა ხესუს სამპერმა.

57 წლის კლემენტე ცოტა ხნის წინ ირანის ნაკრების მწვრთნელი უნდა გამხდარიყო, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი გახლდათ, მაგრამ შეთანხმება ბოლო მომენტში ჩაიშალა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ კლემენტეს ირანში ცხოვრება მოსთხოვეს.

მან ესპანეთის ნაკრები 1992 წელს ჩაიბარა, 1994 წლის მსოფლიოსა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატებზე კი მეოთხედფინალში გაიყვანა.

2006 წლის დეკემბერში კლემენტე სერბეთის მწვრთნელად [illegible] შნეს, მაგრამ გასული წლის დეკემბერში დაითხოვეს, მას მერე, რაც ნაკრები ევრო 2008-ის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა.

საკლუბო კარიერაში კლემენტეს საუკეთესო შედეგი „ბილბაოსთან“ ერთად აქვს ნაჩვენები. 1983 წელს მან ბასკებს პრიმერადივიზიონი მოაგებინა, მომავალ სეზონში — ჩემპიონატიც და თასიც.

ხავიერ კლემენტეს სამწვრთნელო კარიერაში „ატლეტიკო“, „სპანიოლი“, „სოსიედადი“, „ბეტისი“ და „მარსელიც“ იყო.

გიორგი კაკაბაძე

XXVII ტური

დღეს		
სარაგოსა	:	ატლეტიკო
რეალი	:	ესპანიოლი
ხვალ		
სევილია	:	ლევანტე
ბარსელონა	:	ვილიარეალი
ოსასუნა	:	ალმერია
ბილბაო	:	ვალიადოლიდი
რასინგი	:	ბეტისი
მურსია	:	ხეტაფე
ვალიორკა	:	უელვა
ვალენსია	:	დეპორტივო

ესპანეთი

რეალს ბერნაბეუზე მოგება დაუკარგეს

ერნესტო ვალვერდე მადრიდიდან მინიმუმ ერთი ქულის წაღებას გეგმავს

ჩემპიონატის ეთერიროვნულმა ლიდერმა მადრიდის „რეალმა“ „ხეტაფესთან“ სენსაციურ საშინაო მარცხს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მიჯრით მეორე წაგება მიაყოლა. მოგეხსენებათ, ოთხშაბათს „სამეფო გუნდს“ იტალიურმა „რომამ“ 2:1 სძლია და ჩემპიონთა ლიგიდან გააგდო.

დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისული გულშემატკივრები კარგ ხასიათზე ნამდვილად ვერ იქნებიან და თავიანთი გუნდისგან მხოლოდ მოგებას მოითხოვენ. თუმც „ესპანიოლი“ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. ბარსელონელებმა მიმდინარე სეზონი მშვენივრად დაიწყეს, ბოლო დროს თამაში კი აერიათ, მაგრამ წინა ტურში „ვალენსიას“ სძლიეს და თვითრწმენა დაიბრუნეს. სხვათა შორის, პირველ წრეში „ესპანიოლმა“ „რეალს“ 2:1 მოუგო.

„არ მომწონს იდეა კარგად თამაშისა და მატჩის ბოლოს დამარცხებულის სტატუსით, ამაყად თავაწეულების, მინდვრის დატოვებისა. მადრიდში „რეალი“ ფავორიტია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აუცილებლად წავაგებთ. ბოლომდე ვიბრძოლებთ, სულ მცირე, ქულის მოსაპოვებლად — თქვა „ესპანიოლის“ მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ.

„რეალს“ სერხიო რამოსი არ ეყოლება. რუუდ ვან ნისტელროის, მიჩელ სალგადოს, არიენ რობენს, მარსელოს, უესლი სნეიდერის, კრისტოფ მეცელდერისა და ხავიერ სავიოლას თამაში კი სათუოა.

რამდენიმე ფეხბურთელი „ესპანიოლსაც“ აკლია. უპირველესად, ის აღვნიშნოთ, რომ შესაძლოა, ბარსელონელთა ლიდერმა რაულ ტამუდომ ვერ ითამაშოს.

მეორეადგილოსანი „ბარსელონა“ მასზე ერთი საფეხურით ქვემოთ მყოფ „ვილიარეალს“ მასპინძლობს და, მიუხედავად კარგი სათამაშო ფორმისა, კატალონიელებს „კამპ ნოუზე“ ალბათ იოლი მატჩი არ ელით.

„ბარსას“ მთავარი პრობლემა ლიონელ მესია. წინასწარი ინფორმაციით, არგენტინელი დაახლოებით 6 კვირას გააცდენს. სავარაუდოდ, ვერ ითამაშებენ კარლეს პუიოლი და გაბრიელ მილიტოც.

„მესის არყოფნა სერიოზულ პრობლემას გვიქმნის. ლეო უნიკალური და, ფაქტობრივად, შეუცვლელი მოთამაშეა, თუმცა მის გარეშეც უნდა ვეცადოთ ქულების მაქსიმუმის დაგროვებას“ — აღნიშნა კატალონიელთა ისლანდიელმა ფორვარდმა ეიდურ გუდიონსენმა.

რაც შეეხება „ვილიარეალს“, რომელმაც პირველ წრეში „ბარსელონას“ 3:1 მოუგო, ლოპეს ანხელი არ ეყჩოლება, ხოსიკოს ოამაში კი საეჭვოა.

მიმდინარე სეზონში „სარაგოსასგან“ ბევრი ისევ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას ელოდა, მაგრამ ამჟამად გუნდი გასავარდნ ზონაში მხოლოდ იმიტომ არ არის, რომ „უელვასთან“ შედარებით, ოდნავ უკეთესი ბურთების სხვაობა აქვს.

სარაგოსელებს მიჯრით ოთხი წაგება დაუგროვდათ და მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ხავიერ ირურეტა ამიტომაც დაითხოვეს. მანოლო ვილიანოვა მიმდინარე სეზონში კლუბის მეოთხე თავკაცი იქნება. იგი თავიდანვე ეცდება თავის გამოჩენას.

ერთი სიტყვით, მიუხედავად „სარაგოსას“ პრობლემებისა, მეოთხეადგილოსანი მადრიდის „ატლეტიკოსთვის“ ეს მატჩი იოლი გასეირნება ნამდვილად არ იქნება.

სარაგოსელებზე უარეს დღეში მყოფ „მურსიასაც“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — ყველასთვის კარგად ნაცნობი ხავიერ კლემენტე. მისი პირველი გამოცდა „ხეტაფესთან“ შედგება. მადრიდელები მიმდინარე სეზონსაც მშვენივრად ატარებენ და ამჟამად ოთხმატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებენ თავს. „მურსიას“ კი ალბათ თავადაც აღარ ახსოვს, ბოლოს როდის მოიგო.

ჩემპიონთა ლიგიდან თურქული „ფენერბაჰჩეს“ მიერ დაფრენილ „სევილიას“ ისევ დარჩენია, პრიმერადივიზიონში ვითარება გამოისწოროს. ასე რომ, შოთა არველაძის ბოლოადგილოსან „ლევანტეს“ მორიგი მძიმე მატჩი ელის. ჩვენებურის დებიუტი ალბათ არც ამჯერად შედგება.

საინტერესო შეხვედრაა „მესტალიაზეც“ მეცხრე ადგილზე მყოფი „ვალენსია“ ემილიანო მორეტის, ჰედვიგეს მადუროსა და რუბენ ბარახას გარეშე მასპინძლობს გასავარდნი ზონის სიახლოვეს მყოფ „დეპორტივოს“.

ძოკი კანდელაკი

№		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1	რეალი			3:2	2:1		3:1		3:1		0:1	2:0	4:3	7:0	2:0		3:1	2:0	2:0			26	19	2	5	57	23	59	11	0	1	33	10	33	8	2	4	24	13	26
2	ბარსელონა	0:1			3:0		1:0	2:1	2:0			3:0			1:0	3:1	2:1	4:1	3:0	4:0	5:1	26	16	6	4	51	21	54	12	0	1	33	6	36	4	6	3	18	15	18
3	ვილიარეალი	0:5	3:1				0:0	3:2	1:1	3:0		0:1	1:1		0:0	1:0	4:3		1:1	2:0	3:0	26	14	5	7	43	35	47	7	5	2	22	15	26	7	0	5	21	20	21
4	ატლეტიკო	0:2	4:2	3:4		1:2	4:0	4:3		1:0	1:0		1:1	4:3	2:0	1:2		4:0		1:1		26	13	5	8	44	30	44	8	2	4	31	20	26	5	3	4	13	10	18
5	ესპანიოლი	2:1	1:1	3:0				2:4		2:0	1:0	1:2		0:1		2:1	1:0		1:2	0:0	1:0	26	12	6	8	37	32	42	7	2	4	17	12	23	5	4	4	20	20	19
6	რასინგი		0:0	0:2	0:2	1:1			1:0	1:0	2:0		3:1	2:0		1:0		2:2			1:0	26	11	8	7	25	25	41	7	3	2	14	8	24	4	5	5	11	17	17
7	სევილია	2:0	1:1			2:3	4:1			3:0	4:1	3:0	1:2		2:1		0:1	5:0	4:1	3:1		26	12	3	11	52	35	39	9	1	3	34	12	28	3	2	8	18	23	11
